ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 10 ნოემბერი, 2020 №234 (8498) ფასი: 60 თეთრი

„ნიკა გვარამიასგან წიხლი საწყენი არ არის“

გვ.4

ამირან გამყრელიძე პოლიტიკაში არ ერევა

ნიკა მელია: „თქვენი ციხის არავის ეშინია! მე დამიჭერ? სხვა გამოვა!“

გვ.2

„მეორე ტურის დროს რუსთაველიდან ვაკის პარკამდე ჯაჭვში ჩავდგეთ“

„ივანიშვილი თუ არ დათმობს, წაგებს!“

გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „7 ნოემბრისა და 20 ივნისის შემდეგ ხელისუფლებამ ჭკუა ვერ ისწავლა. მუხტი არ ჩაქრება“

„გაფრთხილების გარეშე წყლის ჭავლის გამოყენება არასწორი იყო“

აკაკი ბობოხიძე: „გადათვლა უკვე სისულელეა. ახალი არჩევნები უნდა დაინიშნოს“

გვ.3

„ხელისუფლება დათმობებისთვის ჯერ მზად არ არის“

გვ.3

„ბრძოლას ბოლომდე ვაპირებ, რომ ეს პარლამენტი არ შედგეს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „საქართველოში დარბევის შემდეგ თავისი პროტესტის დასაფიქსირებლად ქუჩაში ყოველთვის ორჯერ მეტი ადამიანი გამოდიოდა“

ლევან ჩაჩუა: „მოზეიმე ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ საქართველო ილუპება“

გვ.4

გვ.5

კახა საბანაძე: „ცრემლსადენი გაზი აქციის მონაწილეთა მიმართ გამოყენებული არ ყოფილა“

„როდესაც პოლიციელის ან საზოგადოების წევრის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის საფრთხე არსებობს, პოლიციელს აქვს უფლება, გაფრთხილების გარეშე გამოიყენოს სპეციალური საშუალებები“

ვახტანგ გომელაური დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა

გვ.5

ISSN 1987-9385

4 ეუთო მოუწოდებს მომიტინგეებს, თავი შეიკავონ ძალადობისგან

4 კალაძე: „ოცნება“ ოპოზიციასთან დიალოგისთვის მზად არის“

5 პროკურატურამ აკაკი კობალაძესა და აკაკი ხუსკივაძეს ბრალი წაუყენა

6 აზერბაიჯანის ძალები სტეფანაკერტს მიადგნენ

ნიკა მელია: „თქვენი ციხის არავის ეშინია! მე დამიჭერ? სხვა გამოვა!“

„მეორე ტურის დროს რუსთაველიდან ვაკის პარკამდე ჯაჭვში ჩავდგეთ“

– სასაცილოდ არ მყოფნის, როცა კობახიძე, კალაძე გამოდიან და საუბრობენ – მელია დასაჭერია, მელია კრიმინალია – ივანიშვილო, პატივია, თქვენ მოწინააღმდეგედ რომ მთვლით, ესე იგი, სწორ გზაზე ვდგავართ.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ გუშინ, 9 ნოემბერს, რუსთაველზე მიმდინარე აქციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ესე იგი, ზუსტად იქ გებრძვით, რისიც გეშინიათ. ამდენი ხანი ვერ მიხვდით, რომ თქვენი ციხის და თქვენი სასჯელის არავის ეშინია. ბრძოლა არათუ არ შეწყდება, არ შენელდება! ჩვენ ვართ ისტორიის სწორ მხარეს, ახალი ისტორია იწერება აქ! მე დამიჭერ?! მე გამანადგურებ?! – სხვა გამოვა! მამაჩემი გამოვა, დედაჩემი გამოვა, ჩემი ოჯახის წევრები გამოვლენ და ყველანი დავდგებით აქ! – განაცხადა ნიკა მელიამ.

მან აქციის მონაწილეებს უთხრა, რომ 14 ნოემბერს, 15:00 საათზე, რუსთაველის გამზირი ხალხით უნდა გადაივსოს და დაწყებულ ბრძოლას ამით სხვა იმპულსი მიეცეს.

როგორც მან აღნიშნა, მუხტი და სულისკვეთება ნათელია და არავინ უკანდახევას არ აპირებს.

– 8 ნოემბერს რაც ხელისუფლებამ იკადრა, ის არის, რაც მას შემორჩა – ძალადობა, ძალადობა და ძალადობა. ამ ძალადობის რომ არავის ეშინია, თქვენ ხართ ამის ნათელი დასტური, შეუძლებელია, რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ქართველ ხალხს უკან ვერავინ დაახევინებს. რატომ? – იმიტომ, რომ ყველა ზღვარს გადავიდა რეჟიმი, რას არ იგონებენ, რა შეზღუდვებს არ აწესებენ. გული მოგიკვდებოდა, როცა ვუყურებდი იმ რობოკოპებს, სპეცრაზმელებს ეგრეთ წოდებულს, რომელთა დიდ ნაწილს, დარწმუნებული ვარ, იქ დგომა არ უნდოდა, მაგრამ უწევთ. თუ ვინმეა გასათავისუფლებელი ოლიგარქის ტყვეობიდან, ის ხალხია გასათავისუფლებელი. ისინი ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ, ტყვეობაში არიან.

საკუთარ მცველებად გადააქცია, სამართალდამცველები სამართალდამრღვევებად გადააქცია და ივანიშვილის პირადი დაცვის წევრებად მოქმედებენ, – განაცხადა მელიამ.

მანვე მე-2 ტურის შესახებ ისაუბრა.

– მეორე ტურის დროს, მაშინ, როცა მთელი „ქართული ოცნება“ ადმინისტრაციული რესურსის მიყვანით დაკავდება, ჩვენ გამოვიდეთ მშვიდობიანად და რუსთაველის გამზირიდან ვაკის პარკამდე ჯაჭვში ჩავდგეთ, – განაცხადა ნიკა მელიამ.

მისი თქმით, ეს იქნება დიდი დარტყმა „ქართულ ოცნებაზე“. მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს, რამხელა წინააღმდეგობაშია რეჟიმი ხალხთან.

– მეორე ტურებს რაც შეეხება, მარტო რომ ატარებენ, სავარაუდოდ, 21 ნოემბერს იქნება და ამასთან დაკავშირებით „გირჩსა“ და ქალბატონ თაკო ჩარკვიანს აქვთ ძალიან კარგი იდეა, მაშინ, როცა მთელი „ქართული ოცნება“ ადმინისტრაციული რესურსის მიყვანით დაკავდება, ჩვენ გამოვიდეთ მშვიდობიანად და რუსთაველის გამზირიდან ვაკის პარკამდე ჯაჭვში ჩავდგეთ, ცოცხალ, მრავალმწკრივიან ჯაჭვში და ამით მსოფლიო დაინახავს, რომ ხალხი დგას გარეთ, აპროტესტებს და ძალდატანებით საჯარო მოხელეს ან აქტივისტს მიერეკებიან საარჩევნო უბნებზე, ესეც დიდი დარტყმა იქნება, იმაზე მეტი ადამიანი უნდა გამოვიდეს, მეორე ტური როცა იქნება, ვიდრე არჩევნებზე მიმსვლელი იქნება, ესეც ჭკუით გამარჯვება იქნება ამ უზნეო ხელისუფლებაზე, – განაცხადა ნიკა მელიამ.

„ივანიშვილი თუ არ დათმობს, წააგებს!“

თორნიკე შარაშენიძე: „7 ნოემბრისა და 20 ივნისის შემდეგ ხელისუფლებამ ჭკუა ვერ ისწავლა. მუხტი არ ჩაქრება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, საკმაოდ რთული და პოლიტიკურად მღელვარე ღამე იყო გუშინ. სხვადასხვაგვარი შეფასება მოვისმინეთ ამ ყველაფერთან დაკავშირებით. ნაწილი ხელისუფლებას ადანაშაულებს, ნაწილი – ოპოზიციას. რამდენად ხედავთ რევოლუციურ ტალღას და სად არის გამოსავალი?

– გამოსავალი არის ერთადერთი, კომპრომისი და მოლაპარაკება, მაგრამ, ბუნებრივია, ეს უნდა მოდიოდეს ხელისუფლებისგან, პირველ რიგში. ამ სიტუაციაში თვლას, რომ აი, 5 ათასი კაცი გამოვიდა და 7 ათასი კაცი გამოვიდა, არის სისულელე, ცინიზმზე რომ არაფერი ვთქვათ და ისევ მას აზიანებს, ვინც ამ გზით ცდილობს ხალხის დაიგნორებას.

– გუშინ საღამოს ოპოზიციამ ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა და დრო საღამოს 8 საათამდე მისცა. ეს სწორი გათვლა იყო?

– რა თქმა უნდა, არ იყო სწორი ნაბიჯი და გათვლა. დრო მეტი იყო საჭირო. ეს იყო ნაჩქარევად მოფიქრებული ნაბიჯი და, რა თქმა უნდა, ამან არანაირი შედეგი არ გამოიღო.

– უნდა გამოეყენებინათ თუ არა სამართალდამცავებს წყლის ჭავლი?

– ჭავლს იყენებენ ყველგან, ბევრ ქვეყანაში, თუმცა ჯერ უნდა გააფრთხილო დემონსტრანტები და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენო. დემონსტრანტმა უნდა შეძლოს და თვალი მაინც მოარიდოს. გაფრთხილების შემდეგ ვინც არ მოარიდებს, რას ვიზამთ, მერე ყველაფერი ხდება ხოლმე. გაფრთხილების გარეშე კი წყლის ჭავლის გამოყენება იყო ნამდვილად არასწორი.

– გადამეტებულ ძალად შეიძლება ჩაითვალოს?

– დიახ. გასაკვირია, რომ 7 ნოემბრისა და 20 ივნისის შემდეგ ხელისუფლებამ ჭკუა ვერ ისწავლა, რომ მოხდეს მინიმალური ზიანით დემონსტრაციების დაშლა.

– ხელისუფლების პოზიცია ასეთია, მოლოტოვის კოქტეილებითა და ქვებით შეიარაღებულები მოდიოდნენ დემონსტრანტებიო...

– კი, ქვებს ნამდვილად ისროდნენ პროტესტანტები, მაგრამ ამ დროს ყოველთვის მეტი სიფრთხილე მართებს მთავრობას. როცა იყენებ წყლის ჭავლს, რომელიც ნამდვილად დაშვებულია ასეთ დროს, ჯერ უნდა გააფრთხილო მომიტინგეები და, როცა გააფრთხილებ, პასუხისმგებლობა უკვე მომიტინგეებზეა. რამდენად იყო გუშინ შტურმის მცდელობა, არ ვიცი, ვერ გეტყვით, მაგრამ არსებობს წითელი ხაზები, რომლებიც მომიტინგეებმაც არ უნდა გადაკვეთონ.

– რამდენად ელოდებით მუხტის ჩაცხრომასა და სიტუაციის განეიტრალებას?

– მუხტი არ ჩაცხრება. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გამოიჩენენ კონსტრუქციულობას, სახელმწიფოებრივ აზროვნებას ოპოზიციასა და ხელისუფლებაში. თუ ხელისუფლება არ დათმობს და ისევ ჯიუტად ჩააფრინდა იმ ციფრებს, რომლებიც დაითვალა თამარ ჟვანიამ, რა თქმა უნდა, ოპოზიცია ასე მარტივად არ დაიშლება და არ წავა. იმ სიტუაციაში, როცა პატარა პარტიებმა აიღეს 3-4 ადგილი და ფრაქციებსაც კი ვერ აკეთებენ, იმ სიტუაციაში, როცა „ოცნებას“ მიაქვს 90 ადგილი, მაშინ როცა „ოცნებამ“ აიღო 48%, ანუ ნახევარზე ნაკლები პროპორციულ არჩევნებში, ამდენ მანდატს არ უნდა იღებდეს, ეს ხომ უსამართლობაა. ასე არ უნდა ხდებოდეს.

– რა იქნებოდა სწორი არსებულ სიტუაციაში?

– ნორმალური იქნებოდა, „ოცნებას“ გაეკეთებინა სამთავრობო კოალიცია ოპოზიციურ პარტიებთან და დარჩენილიყვნენ ხელისუფლებაში. „ოცნებამ“ აიღო ყველაზე მეტი ხმა, ვიდრე სხვა ნებისმიერმა ოპოზიციურმა პარტიამ. ეს ხომ ფაქტია. ამას ეჭვის ქვეშ ნაცმოძრაობაც კი არ აყენებს. შესაბამისად, უმტკივნეულო რეცეპტი იქნებოდა „ოცნების“ მიერ კოალიციის გაკეთება და მერე აღარავინ დააყვედრებდა იმას, რომ მესამე ვადით დარჩნენ ხელისუფლებაში, გაყალბებითა და რაღაცა გზებით. ეს იქნებოდა სამართლიანი განაწილება, გამომდინარე არსებული რეალობიდან. ისევ ერთპიროვნულად დარჩენა ხელისუფლებაში და 90 მანდატი 150-დან, ეს ხომ რეალობას არ ასახავს.

– ხალხის განწყობა სხვაგვარია?

– დიახ, ეს არ ასახავს ხალხის განწყობას. როგორ უნდა მართოს „ოცნებამ“ ხელისუფლება კრიზისის პერიოდში, რომელიც გველოდება? თანაც ასეთი დაბალი ლეგიტიმაციით, ასეთი ფიქტიური პარლამენტით. მართლა არ ვიცი, რას ფიქრობენ. მათი თვითმიზანი ხელისუფლებაში დარჩენა თუ არის, ეს ყოველთვის ცუდად მთავრდება ხოლმე. ხელისუფლება უნდა იყო ლეგიტიმურად, ხალხი უნდა გაღიარებდეს, აი, ესაა საქმე! რამდენადაც არ უნდა მოსწონდეს ოპოზიციას, ოპოზიციაც უნდა აღიარებდეს ამას. კი ბატონო, გავიგე, ბევრს არ მოსწონს ნაცმოძრაობა და არა მხოლოდ „ოცნებაში“, მაგრამ ნაცმოძრაობას აძლევს ხმას ლამის ნახევარი მილიონი კაცი და ეს არ არის ხელწამოსაკრავი.

– ამ ყველაფერს წინ უსწრებდა ფარული ჩანაწერები. რამდენად იყო ნაციონალური მოძრაობის თვითმიზანი პროცესების ქუჩაში გადატანა და რევოლუციური ტალღა?

– მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნაცმოძრაობას, ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილს, უნდოდა და უნდა ხელისუფლებაში დაბრუნება და, თუ ეს მოახერხა, იქნება მხოლოდ და მხოლოდ „ოცნების“ დამსახურება! წესით, ვერ უნდა მოახერხოს, იმიტომ რომ ნაცმოძრაობის რეიტინგი 20%-ზე უფრო დაბალია. თუ გამოუვიდათ, ეს „ოცნების“ დამსახურება იქნება სწორედაც. ამ გაჯიუტებით მათ მოახერხეს ის, რომ გააერთიანეს სააკაშვილი და ბოკერია კი არა, სააკაშვილიც, ბოკერიაც, ბურჯანაძეც, ელისაშვილიც და აბსოლუტურად ყველა.

– ასეთი ინფორმაციებიც გამოდის, რომ ოპოზიციის ერთ ნაწილს უნდა პარლამენტში შესვლა. რამდენად გადაიბირებს ვინმეს ოპოზიციიდან ხელისუფლება?

– მეც ასე ვფიქრობ, ხელისუფლება ამიტომაც არ თმობს, სწორედ ამის იმედი აქვს, რომ გახლეჩს ერთიანობას და ორი პატარა პარტია თუ შევა, მერე იტყვიან, შემოვიდა ნორმალური პარტიები, ხოლო დესტრუქციული და ქუჩის ოპოზიცია ქუჩაში დარჩაო. დავუშვათ, ესეც მოახერხეს, მაგრამ, რამდენად დიდხანს შეინარჩუნებენ მერე ხელისუფლებას კრიზისის პერიოდში, აი, ეს არის მთავარი, ჩემი აზრით. მოსახლეობის დიდი ნაწილი ხომ დარჩება უკმაყოფილო? ეს არის პრობლემა და ასეთი კოსმეტიკური გზებით მოგვარებული პრობლემები ისევ პრობლემად დარჩება. თუ გადაიბირეს ორი პატარა პარტია და შეიყვანეს ეს კოსმეტიკური ცვლილება, პრობლემას ვერ მოაგვარებენ.

„გაფრთხილების გარეშე წყლის ჭავლის გამოყენება არასწორი იყო“

– რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ სიტუაციის განსამუხტად?

– ეს არის დიალოგი, ოღონდ სერიოზული სახის დიალოგი და, კარგი იქნება, თუ ამ დიალოგში ჩართული იქნება თუ ბიძინა ივანიშვილი არა, გიორგი გახარია მაინც. საჭიროა სერიოზული ფიგურების ჩართვა და არა ისეთების, როგორიცაა მდინარაძე-თალაკვაძეები. ამ დიალოგში ასევე ჩართული უნდა იყვნენ ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებიც და ასეთ დროს კომპრომისიც უფრო რეალურია. ჩვენი პარტნიორებიც ძალიან კარგად ხედავენ, რა ხდება და რა სიტუაციაა. ჩვენმა მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ამერიკაში შეიცვალა ადმინისტრაცია, ბაიდენს ექნება გაცილებით მკაცრი პოზიცია დემოკრატიის საკითხების მიმართ, ვიდრე ჰქონდა ტრამპს. ამიტომ ახლა ძალადობაზე თვალის დახუჭვა არ გამოვა. მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, გულწრფელდ მინდა, რომ „ქართული ოცნება“ არ გაქრეს პოლიტიკური ველიდან და ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან არ გაიქცეს, რადგან ეს კიდევ ერთხელ შეგვიყვანს მოჯადოებულ წრეში. ასე წინ ვერ წავიწევთ. ეს რომ არ მოხდეს, პროცესი უნდა დაბრუნდეს დიალოგის ფორმატში და ამ ყველაფერმა არ უნდა მიიღოს რევოლუციური სახე.

– არის რევოლუციის შანსი?

– თუ ასე გაგრძელდა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ხოლო რევოლუციასა და კრიზისში ძლიერია მიხეილ სააკაშვილი. ეს ძალიან ბევრჯერ გამოჩნდა. შესაბამისად, ივანიშვილის ინტერესში უნდა იყოს კომპრომისი და დიალოგი და არა რევოლუციური რეჟიმი. რევოლუციურ რეჟიმში ის აუცილებლად წააგებს სააკაშვილთან. ყველა ვარიანტში ასე იქნება.

– დაპატიმრებებსა და პოლიტიკურ დევნას რამდენად ელოდებით ამ სიტუაციიდან გამომდინარე?

– არა, არ ველოდები. ამ პროცესებს თვალს ადევნებენ ჩვენი პარტნიორები და, დარწმუნებული ვარ, მსგავსი არაფერი იქნება. ეს უკვე „ოცნების“ ბრალი იქნება, აქამდე რომ მიიყვანა სიტუაცია.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ, სიტყვაზე, ნიკა მელიამ მოიხსნა სამაჯური, დაარღვია კანონმდებლობა და ხელსაც კი ვერ ჰკიდებენ, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკურ თემად იქცა. ჯერ ბევრი რამაა გასარკვევი. დიდი იმედი მაქვს, საქმე არ მივა დაუმორჩილებლობამდე, რაც მარტივად შეუძლია მოაწყოს ოპოზიციამ, შეკრიბოს რამდენიმე ათასი კაცი და არ დაემორჩილოს კომენდანტის საათს. ეს პროცესი ძალიან სახიფათო იქნება მთელი ქვეყნისთვის. ამას, შესაძლოა, მოჰყვეს ინსტიტუტების ჩამოშლა. დიდი იმედი მაქვს, საქმე აქამდე არ მივა და ჩვენი პარტნიორების ჩართულობით დაიწყება დიალოგი. ასეთი პროცესები ყველასთვის სახიფათო იქნება, მათ შორის ოპოზიციისთვისაც, ჯანსაღი ოპოზიციისთვის, რომელსაც არ უნდა რადიკალიზაცია და რევოლუცია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

აკაკი ბობოხიძე: „გადათვლა უკვე სისულელეა. ახალი არჩევნები უნდა დაინიშნოს“

„ხელისუფლება დათმობებისთვის ჯერ მზად არ არის“

იაგო ნაცვლიშვილი

ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი უფრო და უფრო მწვავდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი გახდა 8 ნოემბრის ღამეც, როდესაც სპეცრაზმმა ცესკოსთან მიმდინარე აქცია რამდენიმეჯერ დაარბია. მათ შორის პირველად აქცია ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაშალეს. აქციები და პროტესტი ქვეყანაში ისევ გრძელდება.

რა სამოქმედო გეგმა აქვს ოპოზიციას, გამოთქვამენ თუ არა დიალოგისთვის მზადყოფნას ჩიხიდან გამოსასვლელად და რა როლი ექნებათ ამ პროცესში საერთაშორისო აქტორებს? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **აკაკი ბობოხიძე** საუბრობს.

– გვაქვს თუ არა პოლიტიკური კრიზისი და რა აუცილებლობა იყო, რომ პოლიციას ძალა გამოეყენებინა? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „ოცნება“ ავტორიტარიზმისკენ მიდის?

– რა თქმა უნდა, პოლიტიკური კრიზისი სახეზეა თავისი ყველა შემადგენელი ნიშნით. კიდევ რა შეიძლება იყოს?! ხელისუფლებამ 8 ნოემბრის აქციაზე გამოიყენა არაადეკვატურად არაპროპორციული ძალა. არაპროპორციულ ძალაშიც გადააჭარბა.

რაც შეეხება იმას, მიდის თუ არა ხელისუფლება ავტორიტარიზმისკენ, გიპასუხებთ, რომ ავტორიტარული მმართველობა ქვეყანაში კარგა ხანია დამყარებულია, იმიტომ, რომ არაფორმალური ტიპის მმართველობასთან გვაქვს საქმე. ჯერჯერობით ქართველი ხალხი ამას არ ეგუება. ვაგრძელებთ ბრძოლას და, იმედია, ეს ბრძოლა ქართველი ხალხის გამარჯვებით დამთავრდება.

– ძალაში შედის მთავრობის გადაწყვეტილება, როდესაც 22:00 საათიდან იკრძალება გარეთ გასვლა და გვეუბნებიან, რომ სახელმწიფო შესაბამისად იმოქმედებს. რას დაუპირისპირებთ ამას ოპოზიცია?

– მიმაჩნია, რომ ჩვენი მოქმედება არის ორნაწილიანი. ერთი, მუდმივად უნდა ჩანდეს ქართველი ხალხის პროტესტი და



არშეგუება იმასთან, რაც ქვეყანაში ხდება. ამის ფონზე მაქსიმალურად უნდა მოვიპოვოთ ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერა და ეს ყველაფერი კომპლექსში მიგვაღწევინებს გამარჯვებას.

– ანუ 22:00-ის შემდეგაც გაგრძელებთ აქციას?

– გავაგრძელებთ თუ არა, ეს ცალკე თემაა, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, უნდა ჩანდეს პროტესტი პოლიტიკური პროცესების მიმართ. რაც შეეხება 22:00-ის შემდეგ გარეთ გასვლის აკრძალვას, ეს არის პოლიტიკური პროცესი და ამას ბოროტად იყენებს ხელისუფლება. კიდევ ერთხელ ვამბობ, ამაზე დავსხდებით და დავილაპარაკებთ, რათა პოლიტიკური პროცესი ამის მიღმაც ჩანდეს.

– ხელისუფლება ამბობს, რომ დიალოგისთვის მზადაა. თუ საერთაშორისო ფასილიტატორები ჩაერთვებიან პროცესში, თქვენ თუ ხართ მზად ამისთვის, რათა ისაუბროთ კრიზისიდან გამოსვლის გზებზე?

– გააჩნია, ხელისუფლება რაზე სალაპარაკოდ არის მზად. კრიზისი რამაც შექმნა, იმ თემაზე თუ ილაპარაკებენ, დიდი სიამოვნებით, მაგრამ, თუ ხელისუფლება მოვა იმისთვის, რომ მხოლოდ ლაპარაკის იმიტაცია შექმნას და სხვა თემებზე გვთავაზობს მოლაპარაკებებს, ბუნებრივია, ეს მოლაპარაკება ვერ შედგება. ამიტომ უნდა გვითხრან, რა თემებზე სალაპარაკოდ არიან მზად.

რაზე უნდა ვესაუბროთ?! ვესაუბროთ ხელახალი არჩევნების დანიშვნაზე? დიდი სიამოვნებით. სხვანაირად რანაირად შეიძლება, დადგინდეს ამ არჩევნების შედეგები! უკვე შეუძლებელია. ორი კვირის შემდეგ უკვე გადათვლითაც შეუძლებელია სიმართლის დადგენა, იმიტომ, რომ 2 კვირის შემდეგ, კაცმა არ იცის, რა ხდება უბნებზე. ბეჭედი და ლუქი ამ ხელისუფლების ხელშია და არც კი ვიცით, იქ რა ხდება.

– ოპოზიცია დღესდღეობით გადათვლას აღარც კი განიხილავთ?

– ჩემი აზრით, ეს ყველაფერი უკვე სრული სისულელეა. გარდა ამისა, რა უნდა გადავთვალოთ იქ, სადაც ბიულეტენები აკლია?! რომც იყოს მიღებული ხმები და ოქმი ერთმანეთთან შესაბამისობაში, დაკარგული ბიულეტენები ხომ იმას ნიშნავს, რომ ე.წ. სომხური კარუსელი დაატრიალეს. ასეთ შემთხვევაში რას ვითვლით. აქ იმაზე უნდა ვილაპარაკოთ, ეგეთ ოქმებს საერთოდ ვიღებთ თუ არა. ამისთვის ხელისუფლება მზად არ არის. ასეთ შემთხვევაში მას მოუწევს თქმა, რომ დამარცხდა. ასეთ შემთხვევაში მარტივ გამოსავალს ვთავაზობთ – ვილაპარაკოთ ახალ არჩევნებზე, რომელიც უნდა ჩატარდეს ახალი, სამართლიანი თამაშის წესებითა და ახალი ადმინისტრაციით.

– ასეთი მნიშვნელოვანი პერსონაა თამარ ჟვანია, რომ მის გადადგომაზეც კი არ მიდის ხელისუფლება?

– ამ წუთას ხელისუფლება არაფერზე წამსვლელი არ არის, ვინაიდან მისი ნებისმიერი მოქმედება ნიშნავს აღიარებას, რომ დანაშაული ჩადინა. ჯერჯერობით ეს ხელისუფლება ამისთვის მზად არ არის. მით უმეტეს არ არის მზად, აღიაროს, რომ არჩევნები გააყალბეს. ამიტომ ვამბობ, ლაპარაკი იმაზე, რომ მოდი, დავილაპარაკოთ, მხოლოდ განცხადებაა, რომელიც გამიზნულია უცხოელი პარტნიორების გასაგონად.

– ბუნებრივია, ამ ვითარებაში გექნებათ გეგმა ბე და გეგმა სე. რას გულისხმობს ეს?

– ძალიან მარტივია ჩვენი გეგმა – ეს არის მუდმივი პროტესტი, რომ არ ვეგუებით ვითარებას და ამ ფონზე დასავლელ პარტნიორებთან მუშაობას. წარმოიდგინეთ, ერთი თვის თავზე რა სურათი იქნება საქართველოს პარლამენტში. იქნება ერთპარტიული პარლამენტი. ეს უკვე არის პოლიტიკური კრიზისი და, საერთოდ ხმა რომ არ ამოვიღოთ, შეუძლებელია, ცივილიზაციის პრეტენზიის მქონე სახელმწიფოსგან ჩვენმა პარტნიორებმა მსგავსი ვითარება მოითმინონ.

– მე მგონი, აქაც ნახავენ გამოსავალს – 6-8 დეპუტატი გადავა ოპოზიციაში და შექმნიან ხელოვნურ ოპოზიციას.

– არა, ეს სისულელეა. რა მნიშვნელობა აქვს. იმას ხომ არ აქვს მნიშვნელობა, ვის დაარქმევენ ოპოზიციას და ვის – არა. პარლამენტში მნიშვნელოვანია, რომ ეს პარლამენტი არ არის ქართველი ხალხის ნების გამომხატველი.

– ახსენეთ საერთაშორისო აქტორები და დაწყებული გაქვთ მათთან მუშაობა?

– რა თქმა უნდა. როგორ ფიქრობთ, რატომ შეცვალა „ქართულმა ოცნებამ“ რიტორიკა, თუნდაც მათ გასაგონად?! იძულებული რომ გახდნენ, მოლაპარაკებებზე ილაპარაკონ, ეგ შემთხვევითია?!

– ზეწოლას ახდენენ საერთაშორისო აქტორები?

– მათი განწყობების ცვლილებებს ხედავენ თანდათან, იმიტომ, რომ ის ადამიანებიც ხედავენ ოქმებში შეუსაბამობებს. ამაზე თვალის დახუჭვას არავინ აპირებს. უბრალოდ, რა დოზით გაგრძელდება ზეწოლა ხელისუფლებაზე, ეს დამოკიდებულია ქართველი ხალხის პროტესტზე. შეეგუება ქართველი ხალხი? – დახუჭავენ ისინი თვალს, არ შეეგუება? – მათი მხარდაჭერა გვექნება ბოლომდე.

„ბრძოლას ბოლომდე ვაპირებ, რომ ეს პარლამენტი არ შედგეს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „საქართველოში დარბევის შემდეგ თავისი პროტესტის დასაფიქსირებლად ქუჩაში ყოველთვის ორჯერ მეტი ადამიანი გამოდიოდა“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, ირაკლი კობახიძე პროვოკაციებზე საუბრობს. ხომ არ ფიქრობთ, როგორც 20 ივნისის მოვლენების გამოძიება დაიწყო, ასე დაიწყოს ხელისუფლებამ ამჯერადაც ოპოზიციის წინააღმდეგ საგამოძიებო მოქმედებები?

– ირაკლი კობახიძე თავად გახლავთ პოლიტიკოსის პროვოკაცია და, აქედან გამომდინარე, მისი მხრიდან პროვოკაციაზე საუბარი უხერხულია. ივანიშვილის დასაქოქ თოჯინას ბევრი უთქვამს და შემდეგ უკანაც წაუღია. რამდენიც უნდათ, იმდენი იძიონ და, რასაც იპოვის ივანიშვილი, ვნახავთ. თუ ასე გააგრძელებს კობახიძესთან და ჟვანიასთან ერთად, ივანიშვილი იპოვის დიდი ხნით საგზურს საპატიმროში, რა თქმა უნდა, მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს პირობებში. ვის ეშინია მათი დაჭერის?! 19-ჯერ ვარ სამი ხელისუფლების მიერ დაჭერილი და ახლა კობახიძემ უნდა შემაშინოს?! ფუნთუშებზე გაზრდილმა კობახიძემ თავისნაირი მონები შეაშინოს. ვერც მე და ვერც სხვა ლიდერებს ვერ შეგვაშინებს.

– ხელისუფლება კანონის მთელი სიმკაცრით დასჯაზე საუბრობს.

– გასაგებია, მიზანი არის დაშინება და დააშინონ თავიანთნაირი ჯალათები. ჩვენ არ გვეშინია. მათი პოლიტიკის ფინალი ან ციხეა, ან ფსიქიატრიული.

– რა ინფორმაცია გაქვთ ხელისუფლებისგან, არანაირი მესიჯი არ მოდის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით?

– თუ ივანიშვილი დროულად მოეგება გონს, საკუთარი თავისა და ფულის უსაფრთხოებაზე იზრუნებს და დასავლეთს არ მიიყვანს იქამდე, რომ სანქციები დაუწესონ, მაშინ უნდა დაიწყოს გონივრული ნაბიჯების გადადგმა.

– თუ არ წამოვა?

– თუ არ წამოვა, მაშინ ყოველივე ძალიან მალე დამთავრდება პერსონალური სანქციებითა და სასჯელით, რომელიც მას ემუქრება. ეს მთლიანად მის დღევანდელ ქმედებებზეა დამოკიდებული.

– მოთხოვნები უცვლელია?

– რასაკვირველია! ხელახალი არჩევნები ცესკოს ახალი ადმინისტრაციის პირობებში.

– დაიღლებიან, პანდემიაა, ზამთარი მოდის, ცოტა ორთქლს გამოუშვებენ და სახლებში წავლენ! – რას იტყვით ამ დამოკიდებულებაზე?

– ფორთხვა მონების ხვედრია. ივანიშვილის ფეხებთან და კარზე ფორთხვა მათ გამოსდით კარგად. ჩვენ ხალხთან ერთად ბრძოლას ბოლომდე ვაპირებთ. ეს ბრძოლა იქნება დაუღალავი და გაუტეხელი. თუ ამას ვერ მიხვდებიან, მაშინ მათ ექნებათ მსოფლიოში ერთპარტიული პარლამენტი მხოლოდ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მანამდე ვერც მიაღწევენ, ნაწილ-ნაწილ ჩამოიშლებიან. თუ ვინმეს კეთილგონიერება შერჩა და ცოტა სინდისიც, თავადვე უნდა დაიწყონ არშემდგარი პარლამენტის დატოვება. გაყალბებული არჩევნების შედეგად მოსული პარლამენტის წევრობა სირცხვილია. მე ბრძოლას ბოლომდე ვაპირებ, რომ ეს პარლამენტი არ შედგეს.

– ოპოზიციიდან დღეს ვინმე შევა პარლამენტში?

– ამ პარლამენტში არავინ შევა. მეტი რა გავაკეთოთ. იმდენი ხელმოწერა და ფიცი იყო. თუ ვინმეს სურვილი აქვს ჩვენი სისხლის ნახვის, მზად ვართ, სისხლითაც მოვაწეროთ ხელი. ოპოზიცია, როგორც არასდროს, ისეა დღეს ერთიანი. საკმაოდ მყარია ოპოზიცია თავის გადაწყვეტილებაში და, არა მგონია, ვინმე აღმოჩნდეს ისეთი, რომ საკუთარ პოლიტიკურ მომავალს ხარაკირი გაუკეთოს.

– თითქოსდა ოპოზიცია დაბნეულია, გზადაგზა იღებენ გადაწყვეტილებებს. რამდენად არსებობს ჩამოყალიბებული გეგმა, რომლის მიხედვითაც იმოქმედებთ?

– იმპროვიზაცია არ ნიშნავს გეგმის არარსებობას და პირიქით. ეს ნორმალურია, მით უფრო, როდესაც საქმე გვაქვს აგონიაში გადასულ უზურპატორთან.

– ცესკოსთან განვითარებულ მოვლენებზე მინდა გკითხოთ. ხალხს დაშლისკენ მოუწოდეს ალეკო ელისაშვილმა და ნიკა მელიამ, რაც სწორ გადაწყვეტილებად შეფასდა.

– ორჯერ დაგვარბიეს. ბოლოს უკვე ძალიან ბევრი პროვოკატორი იყო აქციის მონაწილეთა შორის შემოგზავნილი. ამიტომ ეს მოწოდება ადეკვატური იყო. რეალურად უკვე კონტროლი შეუძლებელი იყო. როდესაც რაღაც კადრები გავრცელდა, რომლის უკანაც სუსისა და ხელისუფლების წარმომადგენელი პროვოკატორები იდგნენ, მიიღეს დროებით დაშლის გადაწყვეტილება, რომ ხელისუფლებას საკუთარი დანაშაულის გადაფარვის შესაძლებლობა არ მისცემოდა. თუმცა ჩვენს ქვეყანაში ძალადობაზე ხალხი მეტი აქტიურობით პასუხობს და არა პირიქით. ჩვენ არ ვართ აღმოსავლური ტირანია, სადაც ხალხი ისეა დაშინებული, რომ დარბევის შემდეგ ქუჩაში გასვლას ვერ ბედავს.

ივანიშვილმა ზუსტად ისე მიქარა, როგორც სააკაშვილმა თავის დროზე, მანამდე კი – შევარდნაძემ. საქართველოში დარბევის შემდეგ ყოველთვის ორჯერ მეტი ადამიანი გამოდიოდა ქუჩაში თავისი პროტესტის დასაფიქსირებლად. დარწმუნებული ვარ, აქციაში მონაწილეთა რიცხვი ერთიორად გაიზრდება.

ლევან ჩაჩუა: „მოზეიმე ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ საქართველო იღუპება“

„არჩევნების ფალსიფიკაციაზე უარესია, რომ ივანიშვილი აყალბებს პოლიტიკურ პროცესს“

მარიამ მჭედლიშვილი

საზოგადოება ღელავს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო. ადამიანებს თავზარი დასცა პროტესტანტების მიმართ ცივი წყლის ჭავლის გამოყენებამ. არჩევნების შემდეგ შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

– არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად გამოსულ ადამიანებს წყლის ჭავლი დაუშინეს, პირველ ჯერზე – გაუფრთხილებლად. თქვენ როგორ აფასებთ მოვლენებს?

– ეს იყო ვერაგობა ხელისუფლების მხრიდან. ახლაც, როგორც ყოველთვის, ჯოხი უბრალო ადამიანებზე გადატყდა. ქუჩაში გამოვიდნენ არა მხოლოდ ნაცმოძრაობის ფანები. თავიანთი ხმების დასაცავად გამოდიან სხვა მოქალაქეებიც. ისინი გულწრფელ პროტესტს გამოთქვამენ, ხელისუფლება კი მათ კოვიდპიდემიის დროს სასტიკად ექცევა. ხელისუფლებაც და ეს ე.წ. ოპოზიციაც იმეტებენ ადამიანებს, წირავენ მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

„თუ „ოცნება“ აღიარებს, რომ ნაცმოძრაობასა და მის გარემოცვას 6000 კაციც ვერ გამოჰყავს ქუჩაში, მაშინ არჩევნებზე მილიონ ხმას რატომ უწერს?“

– „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ იგეგმებოდა ცესკოს შენობაში შეჭრა. ამის ორგანიზატორად მან ნიკა მელია დაასახელა და მას „კრიმინალი“ უწოდა.

– დამნაშავეებს პასუხს უნდა სთხოვდნენ. „ქართული ოცნება“ ნაციონალებთან დაკავშირებულ პოლიტიკოსებს არ სჯის. ეს ხომ დადგენილი ფაქტია! ორი პოლიტიკოსი იჯდა ციხეში და ორივე გამოუშვეს. ეს სულ რამდენიმე თვის წინ მოხდა. ივანიშვილის ხელისუფლებას არც წინა რეჟიმის დროს ჩადენილი დანაშაულებისთვის უგებინებია ვინმესთვის პასუხი. რაც უნდა დაიქადნონ, პოლიტიკაში მყოფ კრიმინალებს დავსჯითო, ამას არ გააკეთებენ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ „ქოცები“ და „ნაცები“ ერთ კლოუნადაში მონაწილეობენ. მოქმედებს პრინციპი „შუა უნდა გაიკრიფოს“. ეს ლოზუნგი ივანიშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე აამუშავა. მაშინ ისიც გვითხრა, რომ შესაძლებელია მესამე პარტიის არსებობა. აკი 2016 წელს გადაალახვინეს კიდეც ბარიერი „პატრიოტთა ალიანსს“. ახლაც ამათ გარიგებასა და ჯამბაზობას ეწირება უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

– პროტესტში სხვა ძალებიც არიან ჩართული.

– მათგან დამოუკიდებელი ძალები ამაში არ მონაწილეობენ. ეროვნულ ძალებზე საერთოდ არ არის ლაპარაკი. ეროვნული ხალხი მთლიანად გარიყეს. როგორც არ არსებობს ყოფილი „კაგებეშნიკი“, ისე არ არსებობს ყოფილი „ნაცი“. რაც უნდა ბევრი იყვიროს „გირჩის“ ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ, ნაციონალებთან არა ვარო, ეს ტყუილი იქნება. ჯაფარიძე იყო ნაციონალური მოძრაობის აღმასრულებელი მდივანი. იდეოლოგიურადაც ბევრად არ განსხვავდება ნაცმოძრაობისაგან. იმაზე მტკივა გული, რომ პოლიტიკურ სპექტაკლში გულუბრყვილო მოქალაქეებიც ჩაითრიეს. ამ პანდემიის დროს ისინი დაშავდებიან, თორემ პოლიტიკოსებს არაფერი უჭირთ. არჩევნები ისევ გაყალბდა. ყოველი არჩევნების შემდეგ ხალხს სტრესში აგდებენ.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– ყველა საპარლამენტო, საპრეზიდენტო და თვითმმართველობის ციკლის ცვლილება იწვევს ახალ სპექტაკლებს და საზოგადოებაზე ახალ ზემოქმედებას. ბოლო წლებს გადავხედოთ. წინა ხელისუფლების დროს 9 წელიწადი მუდმივ დაძაბულობაში ვიყავით და ამას დაემატა „ოცნების“ 8 წელი. 17 წელი იმას ვუძლებთ, რაც ძნელი ასატანია. კიდევ მაგარი ერი ვყოფილვართ!

– გაყალბებაზე ახლა უფრო მძაფრი რეაქციაა.

– კლოუნადაში ჩართული პოლიტიკოსები, უბრალოდ, სპექტაკლში მონაწილეობენ, ხალხი კი, როგორც გითხარით, გულწრფელად გამოდის. ჩვენ, „ქართულ იდეას“, აშკარად მოგვაკლეს ხმები. არჩევნების ღამეს ბევრად მეტი ხმა დაგვიწერეს. წესით, ეს ხმები უნდა გაზრდილიყო, მაგრამ მესამე დღეს დაგვაკლეს. შესაბამისი სქრინები გვაქვს. იმის გათვალისწინებით, რომ არ გქონდა ტელეეთერი, ფული, ამ სიტუაციაშიც კი ბევრზე უკეთესი შედეგი დავდეთ. ერთადერთი, ერთხელ გამოგვიყვეს 5 წუთი, ისიც ნაწილ-ნაწილ. საუბნო კომისიებში წევრები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, „ქართული იდეა“ რომელიაო. ვაჯობეთ ბევრ იმ პარტიას, რომლების სახელებიც ათწლეულებია, ცნობილია. „ოცნების“ მომხრეები და ნაცმოძრაობის მოწინააღმდეგეები გამარჯვებას ზეიმობენ, რაც გაუგებარია.

– საზეიმოდ არა აქვთ საქმე?

– არ მესმის, რა ედღესასწაულებათ. „ოცნებამ“ მიიღო 48%, დანარჩენებმა – 52%. თუ ამას გამოვაკლებთ „პატრიოტთა ალიანსის“ 3%-ს, გამოვა, რომ 49% მიუღიათ ნაცებს და მასთან დაკავშირებულ პარტიებს. „ქართული ოცნების“ პირველ ოცეულში კი საპატიო ადგილებს ინაწილებენ კობახიძე, თალაკვაძე და მდინარაძე, რომლებიც მენტალურად იგივე ნაციონალები არიან. ამ ტრიადას ხალხში „ნორჩ სოროსელებს“ ეძახიან. ასე რომ, ტყუილად ჰგონიათ, თითქოს ნაციონალური მოძრაობა დაამარცხეს.

– რიგგარეშე არჩევნებს არ მოელით? იქნებ სხვა შედეგი დადგეს.

– არა, არა. ეს კლოუნადა და „შუას“ გაკრეფის პროცესი, ორპარტიულობის დამკვიდრება იმისთვის მიმდინარეობს, რომ ეს შედეგი გამყარდეს. არჩევნების ფალსიფიკაცია დანაშაულია, მაგრამ ამაზე კიდევ უფრო მეტი მზაკვრობაა ივანიშვილის მიერ პოლიტიკური პროცესის გაყალბება. ცინიზმია, რომ გამწარებული ადამიანები 15 თუ 20 კილომეტრი ატარეს და შემდეგ სიცივეში ცივი წყლის ჭავლში გაატარეს. ასევე ცინიკურია მმართველი პარტიის განცხადებები.

– კერძოდ?

– „ოცნების“ ოფისიდან ასეთი რამ თქვეს – რატომ უნდა დავაკმაყოფილოთ იმ პარტიების პირობები, რომლებსაც 6000 კაცი ვერ გამოჰყავთო. ამ ე.წ. ოპოზიციას მართლაც უჭირს ბევრი ხალხის გამოყვანა. თუ „ოცნება“ აღიარებს, რომ ნაცმოძრაობასა და მის გარემოცვას 6000-ზე მეტი ადამიანი ვერ გამოჰყავს, მაშინ, ჯამში, არჩევნებზე მილიონ ხმას რატომ უწერს?! მოზეიმე ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ საქართველო იღუპება. არჩევნებიც გაყალბდა და პოლიტიკური პროცესიც ყალბია. მიმდინარეობს პოლიტიკური სპექტაკლი, რომელიც ამკვიდრებს ორპარტიულობას. ჩვენ ეს არ უნდა გავატაროთ და უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.

ირაკლი სესიაშვილი: „უტიფარმა პოლიტიკოსებმა პასუხისმგებლობა უნდა აიღონ“

– ჩვენი ოპონენტები უკვე გადავიდნენ ბრძოლის ახალ ეტაპზე – ისინი ებრძვიან არა ხელისუფლებას ან „ქართულ ოცნებას“, არამედ ებრძვიან სახელმწიფოსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს.

ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლიმ სესიაშვილმა განაცხადა.

– სადაც იქნება დარღვევა, იქ მოხდება ძალიან ცივილიზებულად ამ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირება. მე მოვუწოდებ, დაიცვან საკუთარი თავი, ჯანმრთელობა, გაუფრთხილდნენ ერმანეთს – პოლიტიკური საკითხები უნდა წყდებოდეს დიალოგის გზით და არა იმის მცდელობით, რომ საკუთარი ძალის დემონსტრირება მოახდინო, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია ცივილიზებული პოლიტიკური პროცესისთვის, – განაცხადა სესიაშვილმა.

მისი შეფასებით, იმ პირობებში, როდესაც 8 ნოემბერს აქციის მონაწილეები ძალადობრივი გზით ცდილობდნენ ცესკოს ტერიტორიაზე შეჭრას, სამართალდამცველებმა გამოიყენეს პროპორციული ძალა.

– პირველ რიგში, ყველამ ერთად, ჩვენმა მოქალაქეებმა, საზოგადოებამ, პირდაპირ ეთერში თვალყური ადევნეს მოვლენებს და ყველამ დაინახა, რომ ადგილი ჰქონდა შენობაში შეჭრის მცდელობას. ღობე მოანგრიეს, ქვები ესროლეს პოლიციელებს და იყო მცდელობა, რომ ძალადობით შეჭრილიყვნენ შენობაში. ამ დროს პოლიცია, რა თქმა უნდა, იმოქმედებდა კანონის შესაბამისად.

მე მიკვირს, როდესაც უტიფარი პოლიტიკოსები აკეთებდნენ განცხადებას, რომ რა მოხდა, შესულიყვნენო. ეს ნიშნავს, რომ მათ გააზრებული არ აქვთ, რომ ამ ქვეყანაში კანონის უზენაესობაა და მაშინ, როდესაც კანონი ირღვევა, სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს. მაგრამ თავიანთი პოლიტიკური ამბიციებისა და ხელისუფლებაში მოსვლისთვის, აბსოლუტურად ყველა ძირითად პრინციპს უგულებელყოფენ, რაზეც დგას ქვეყანა – ქვეყანა დგას კანონზე, უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე და სწორედ ეს აწუხებთ მათ.

ამიტომ, რაც ჩვენ ვნახეთ, ეს იყო აბსოლუტურად ადეკვატური პროპორციული მოქმედება პოლიციის მხრიდან. თუ ვინმე დაშავდა, მათ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ, მაგრამ კეთილი ინებონ და ამ უტიფარმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც ასე მარტივად მოუწოდებენ საკუთარ მხარდამჭერებს ძალადობისა და სადღაც შეჭრისკენ, პასუხისმგებლობა აიღონ, – განაცხადა სესიაშვილმა.

ეუთო მოუწოდებს მომიტინგეებს, თავი შეიკავონ ძალადობისგან

ცესკოსთან მიმდინარე მოვლენებს ეუთოს მისია ეხმიანება და განცხადებას ავრცელებს. წერილში გამოთქმულია შეშფოთება ცესკოსთან მომხდარ დაპირისპირებებზე. ეუთო მოუწოდებს მომიტინგეებს, თავი შეიკავონ ძალადობისგან, პატივი სცენ შეკრებისა და გამოხატვის ძირითად თავისუფლებებს.

საერთაშორისო მისიის წარმომადგენლები კიდევ ერთხელ აცხადებენ, რომ საპარლამენტო არჩევნები იყო კონკურენტული და დაცული იყო ადამიანის ფუნდამენტური უფლებები.

განცხადებაში წერია:

„მივესალმებით ადამიანების მიერ გამოხატვის თავისუფლების უფლების გამოყენებას, მაგრამ ძალადობრივი აქტები მიუღებელია. მე მოვუწოდებ საპროტესტო აქციების მონაწილეებს მშვიდობისკენ. ამავე დროს, მე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ პოლიციას აკისრია თავშეკავების ვალდებულება დემონსტრანტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ მოუსმინოს საპროტესტო აქციების მონაწილეებს და პატივი სცეს ფუნდამენტურ თავისუფლებებს. ეუთოს მისია მოუწოდებს ყველა აქტორს, ჩაერთონ კონსტრუქციულ დიალოგში, რათა დაძლეული იყოს ამჟამინდელი პოლარიზაცია და ერთობლივად შემუშავდეს სტაბილური პოლიტიკური ჩარჩო, ასევე გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო დაინტერესებული მხარეებისგან ახლახან მიღებული გზავნილები. საერთაშორისო დამკვირვებლები მხარდაჭერას უცხადებენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სავარაუდო საარჩევნო დარღვევებზე რეაგირების ინკლუზიური პროცესის უზრუნველყოფაში“.

გენერალური მდივანი რობერტო მონტელა აცხადებს: „საქართველოს არჩევნებზე და ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების დაკვირვების საფუძველზე, მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა დაინტერესებული მხარე იქნება მაქსიმალურად თავშეკავებული და გამოამჟღავნებს პასუხისმგებლობის მაღალ დონესა და ერთგულებას საერთო სიკეთის მიმართ, რათა უზრუნველყოფილი იყოს უფრო მტკიცე დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა და საზოგადოებრივი ნდობის მაღალი ხარისხი“.

ეუთოს მისია აცხადებს, რომ 31 ოქტომბრის არჩევნების ტექნიკური ასპექტები ეფექტურად იმართებოდა, მიუხედავად „კოვიდ-19“-ის პანდემიის გამოწვევებისა, თუმცა მმართველი პარტიის დომინირებამ საარჩევნო კომისიებში უარყოფითად იმოქმედა მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის აღქმაზე, განსაკუთრებით ქვედა დონეებზე. არჩევნები ჩატარდა მნიშვნელოვნად შეცვლილი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, ფართო საზოგადოებრივი კონსულტაციების შედეგად, რომლებმაც მოიტანა გარკვეული გაუმჯობესება დემოკრატიული არჩევნების ჩატარების კუთხით, თუმცა ასევე აუცილებელია შემდგომი ძალისხმევა ხარვეზების გამოსასწორებლად“.

კალაძე: „ოცნება“ ოპოზიციასთან დიალოგისთვის მზად არის“

„ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის კახა კალაძის განცხადებით, ხელისუფლება მზადაა ოპოზიციასთან დიალოგისთვის.

როგორც მან 9 ნოემბერს ბრიფინგზე განმარტა, „ქართული ოცნება“ მზადაა, საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით ოპოზიციასთან ერთად დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან და ეს ყველაფერი გადაწყდეს ცივილიზებული ფორმით.

– მივესალმები ამ მოწოდებას. გუშინაც გაკეთდა ჩვენი მხრიდან განცხადებები, რომ მმართველ პარტიას არასდროს უთქვამს უარი დიალოგზე. ჩვენ მზად ვართ ჩვენი მეგობარი ქვეყნების, საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით დავსხდეთ მაგიდასთან და ეს ყველაფერი გადაწყდეს ცივილიზებული ფორმით და არა დამხობებით, გადატრიალებებითა და ასე შემდეგ, – განაცხადა კალაძემ.

„ნიკა გვარამიასგან წიხლი საწყენი არ არის“

ამირან გამყრელიძე პოლიტიკაში არ ერევა

ცესკოსთან აქციის წყლის ჭავლით დარბევის შემდეგ ტელეკომპანია „მთავარი“ თენგიზ ცერცვაძესა და ამირან გამყრელიძეს დაუკავშირდა და ორივეს იდენტური კითხვა დაუსვა: ნოემბერში ადამიანების წყლის ჭავლით დაშლა საფრთხეს შეუქმნის თუ არა მათ ჯანმრთელობას და რა რისკებს შეიცავს ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით? შექმნის თუ არა დამატებით გართულებებს?

პასუხები მსგავსი გამოდგა.

თენგიზ ცერცვაძე: „ვერ გეტყვით. ჩემი კომპეტენციაა ავადმყოფის მკურნალობა და, თქვენ რასაც მეკითხებით, მაგაში ექსპერტად ვერ გამოვდგები“.

ამირან გამყრელიძე: „ამ ტიპის კითხვებზე მე პასუხს არ ვიძლევი.... მე მკითხეთ, როგორია ქვეყანაში ეპიდსიტუაცია. რასაც თქვენ მეკითხებით, ეს სხვა ტიპის პოლიტიკური კითხვაა. მე პოლიტიკურ კომენტარებს არ ვაკეთებ“.

ამის შემდეგ გადაცემის წამყვანმა ნიკა გვარამიამ ორივე ექიმი მკაცრად გააკრიტიკა.

გუშინ, 9 ნოემბერს, ამ ინციდენტს ამირან გამყრელიძე გამოეხმაურა.

მისი თქმით, კითხვა, თუ რამდენად მიზანშეწონილია საპროტესტო აქციის დაშლა წყლის ჭავლით კორონავირუსის პირობებში, პოლიტიკური ქვეტექსტით იყო დასმული, რაზეც პასუხის გაცემა არ ისურვა.

– ჩვენ, ექიმები, ვართ აპოლიტიკური პიროვნებები. მეც მკითხეს ეს გუშინ და მერე „გაისეირნეს“ ჩემზე კარგად. ჩვენ, ექიმები, ვართ ჩართული ყველაზე უფრო წინა ხაზზე ამ უზარმაზარ გამოწვევასთან, რომელიც ხდება საუკუნეში ერთხელ. პანდემია არ ჩერდება და ექიმებს თავი დავანებოთ, პოლიტიკაში ნუ ვრთავთ, ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, დიდი პასუხისმგებლობა გვაქვს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, ამიტომ პოლიტიკური პასაჟებითა და ქვეტექსტებით დასმულ კითხვებს, გუშინ რაც ბატონმა გვარამიამ პირადად ჩემდამი იკადრა, მე პასუხს არ ვცემ. გუშინ კითხვა დასმული იყო ჩემდამი პოლიტიკური ქვეტექსტით, არ გავეცი პასუხი, მერე ძალიან ცუდი განმარტებები გააკეთა, იცის ამ არხის დირექტორმა, არ ვეხები მე მას. ერთ უბრალო ქართულ ანდაზას ვიხმარ – ვიღაცისგან წიხლი არაა საწყენიო, აღარ დავაკონკრეტებ, ასე შევუთვლი დღეს, საკმაო პოლიტიკური გამოცდილება მაქვს, განა არ შემიძლია პასუხი, მაგრამ დღეს ვარ აპოლიტიკური, არ ვერევი, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

მისივე თქმით, მოსახლეობის ჯანმრთელობას რესპირაციული ვირუსების სეზონზე სიცივეც და წყალიც ხელს უშლის, ასევე ხელს უშლის დიდი შეკრებებიც.

კახა საბანაძე: „ცრემლსადენი გაზი აქციის მონაწილეთა მიმართ გამოყენებული არ ყოფილა“

„როდესაც პოლიციელის ან საზოგადოების წევრის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის საფრთხე არსებობს, პოლიციელს აქვს უფლება, გაფრთხილების გარეშე გამოიყენოს სპეციალური საშუალებები“

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ უწყებაში გამართულ ბრიფინგზე უარყო 8 ნოემბერს აქციის მონაწილეთა მიმართ პოლიციის მხრიდან ცრემლსადენი აირის გამოყენების ფაქტი და აღნიშნა, რომ იმ თანამშრომელთა აღჭურვილობაში, რომელიც მასების მართვაში მონაწილეობენ, არის სპეციალური საშუალება – ე.წ. წიწაკის სპრეი, რომელიც არ არის ცრემლსადენი გაზი, ეს არის აეროზოლი და ის საჭიროების მიხედვით შეიძლება, სამართალდამცველებმა გამოიყენონ.

– ჩვენი მხრიდან ცრემლსადენი გაზის გამოყენების ფაქტს კატეგორიულად უარვყოფთ და კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ ცრემლსადენი გაზი აქციის მონაწილეთა მიმართ გამოყენებული არ ყოფილა. აქვე ავხსნი, რომ იმ დანაყოფის პირადი შემადგენლობის აღჭურვილობაში, რომელიც მართავს, ასე ვთქვათ, მასებს, არის სპეციალური საშუალება – ე.წ. წიწაკის სპრეი. ეს არ არის ცრემლსადენი გაზი, ეს არის აეროზოლი, სპრეი, რომელიც, რა თქმა უნდა, საჭიროების მიხედვით შეიძლება სამართალდამცველებმა გამოიყენონ. ოღონდ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არ არის ცრემლსადენი გაზი, სხვაობა დიდია, – განაცხადა კახა საბანაძემ.

როგორც კახა საბანაძემ აღნიშნა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან გამართულ აქციაზე მედიასაშუალების წარმომადგენელთა მიმართულებით დამიზნებით წყლის ჭავლი არ ყოფილა გამოყენებული.

– წყლის ჭავლი გამოყენებული იყო იმ მიმართულებით, საიდანაც მომდინარეობდა საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების საფრთხე. იმის განსაზღვრა, სად იდგა მედიის წარმომადგენელი, მერწმუნეთ, აქციის მართვის პროცესში იყო რთული, თუმცა დამიზნებით წყლის ჭავლის გამოყენება არ მომხდარა. მხოლოდ და მხოლოდ წყლის ჭავლი გამოყენებულ იქნა იმ პროტესტანტების მიმართ, რომლებიც ძალადობდნენ პოლიციელებზე და ცდილობდნენ ცესკოს შენობაში უკანონოდ შესვლას. ჩვენი მხრიდან გამოყენებული იქნა პროპორციული

ძალა, – განაცხადა კახა საბანაძემ.

მისივე თქმით, როდესაც პოლიციელის ან საზოგადოების წევრის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის მყისიერი საფრთხე არსებობს, პოლიციელს აქვს უფლება, გაფრთხილების გარეშე გამოიყენოს სპეციალური საშუალება.

– ჩვენ ავხსენით და კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ, წყლის ჭავლი, როგორც იძულების სპეციალური საშუალება, გამოყენებულ იქნა კანონის სრული დაცვით. კერძოდ, პოლიციის შესახებ კანონის 31-ე მუხლის თანახმად, პოლიციელს აქვს უფლება, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც საფრთხე ემუქრება პოლიციელის და ზოგადად, საზოგადოების წევრის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, როდესაც რეალობიდან გამომდინარე არ არსებობს გაფრთხილების საშუალება, გამოიყენოს სპეციალური საშუალებები.

წყლის ჭავლი სწორედ ამ კანონის დაცვით იქნა გამოყენებული. მაშინ, როდესაც არსებობს მყისიერი საფრთხე, პოლიციელის ან საზოგადოების წევრის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის, ან არ არსებობს იმგვარი მდგომარეობა, რომ მოხდეს გაფრთხილება, პოლიციელს აქვს უფლება, გაფრთხილების გარეშე გამოიყენოს სპეციალური საშუალებები, ამ შემთხვევაში წყლის ჭავლი, – განაცხადა კახაბერ საბანაძემ.

საკანონმდებლო ორგანოსთან აქციის შემდეგ მონაწილეებმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაინაცვლეს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან მისულმა აქციის მონაწილეებმა ძალადობრივად მოარღვიეს ჯებირი, ისროდნენ ქვებსა და ბლაგვ საგნებს და ცადეს, უკანონოდ შეჭრილიყვნენ ცესკოს ტერიტორიაზე, რისი საშუალებაც მათ პოლიციამ არ მისცა.

ძალადობრივი ქმედებების შედეგად დაზიანდა სახანძრო-სამაშველო ავტომანქანა და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ავტომობილი.

აქციის მონაწილეები განაგრძობდნენ ძალადობრივ ქმედებებს, არ ემორჩილებოდნენ პოლიციის მითითებებს, რის შემდეგაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სპეციალური საშუალება – წყლის ჭავლი გამოიყენა.

ამის შემდგომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, რომ აქციის მონაწილეებსა და ორგანიზატორებს დაეცვათ მართლწესრიგი და დამორჩილებოდნენ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს, შეკრებილებმა განაგრძეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონოდ შეჭრის მცდელობა. ისინი სხვადასხვა საშუალებით – რკინის ხელკეტებით, ქვებით, ბლაგვი და ცეცხლმოკიდებული საგნებით ჯგუფურად თავს ესხმოდნენ სამართალდამცველებს, წინააღმდეგობას უწევდნენ და არ ემორჩილებოდნენ მათ კანონიერ მოთხოვნებს. აქციის მონაწილეებმა პოლიციელებს გასტაცეს სპეცაღჭურვილობა – ფარი.

პოლიციის მხრიდან არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, რომ აქციის მონაწილეებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები შეეწყვიტათ, შეკრებილები მაინც აგრძელებდნენ ძალადობრივ ქმედებებს, რის აღსაკვეთადაც პოლიციამ კვლავ გამოიყენა კანონით გათვალისწინებული იძულების სპეციალური საშუალება – წყლის ჭავლი.

აქციის მიმდინარეობისას ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო 14-მდე სამართალდამცველმა, მედიის 3-მა წარმომადგენელმა და აქციის 10-მდე მონაწილემ. დაშავებულთა ნაწილს პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზე გაეწია, ნაწილი კი მკურნალობას სხვადასხვა კლინიკაში განაგრძობს.

პოლიციამ 8 ნოემბერს საპროტესტო აქციაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე, ადმინისტრაციული წესით, ჯამში 19 პირი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს მომხდარ ფაქტებზე სამართლებრივ რეაგირებას. სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ცესკოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული ჯგუფური ძალადობის ორგანიზების და მასში მონაწილეობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უწყება, კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, დაიცვან მართლწესრიგი და დაემორჩილონ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს. აქციის მიმდინარეობისას, სამართალდარღვევის ნებისმიერ ფაქტს პოლიციის მხრიდან მოჰყვება მყისიერი რეაგირება და კანონის ფარგლებში დაუყოვნებლივ იქნება აღკვეთილი.

„ადამიანი, უბრალოდ, გაქრა“

დააკავეს საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი კოკა თოფურია

საპროტესტო აქციის დარბევის დროს დაკავებულთა შორისაა „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი კოკა თოფურია.

თოფურიას ოჯახის წევრებისთვის უცნობია, რა გახდა დაკავების მიზეზი.

– მე მოვინახულე ერთ-ერთი დაპატიმრებული, რომელმაც მითხრა, რომ არანაირი ფიზიკური ან სიტყვიერი დაპირისპირება არ ჰქონია სამართალდამცველებთან. დაკავებულია კოკა თოფურიაც, საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი, „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, – ამბობს ადვოკატი დიმიტრი საძაგლიშვილი.

თოფურიას ახლობლების თქმით, პოლიციელებმა მისი დაკავების შესახებ ოჯახს არ აცნობეს.

– ადამიანი, უბრალოდ, გაქრა. რომ არ გვყავდეს პირადი კონტაქტები პოლიციაში, გამოდის, რომ ადამიანი არ არსებობს. მე რამდენადაც ვიცი, ბევრია დაკავებული, თუმცა მათზე ინფორმაცია არ ვრცელდება, – ამბობს ენმ-ის წევრი კოტე იოსელიანი.

უნივერსიტეტის რექტორის გარდა, დაკავებულია დავით ტატიაშვილიც – ის მოქალაქეებს წყლის ჭავლით დარბევის დროს ეხმარებოდა ტანსაცმლით. შესაბამისად, დაპატიმრების მიზეზი ამ დრომდე უცნობია.

დაზიანების შედეგად თავზე ნაკერების დადება დასჭირდა ერთ-ერთ მოქალაქე კახაბერ კვეკვეციას.

პეკინზე საიუველირო მაღაზია „ფიორელა“ გაძარცვეს

პეკინის გამზირზე 8 ნოემბერს, გვიან ღამით, საიუველირო მაღაზია „ფიორელაში“ ნიღბიანი პირები შეიჭრნენ – ჩამსხვრეულია ვიტრინები და წაღებულია სამკაულები.

მაღაზიის მეპატრონემ ძარცვის შესახებ დაცვის სამსახურის თანამშრომლებისგან შეიტყო, რომლებმაც 112-შიც დარეკეს, მაგრამ ადგილზე საპატრულო ეკიპაჟის ნაცვლად საგამოძიებო ჯგუფი მივიდა.

გამომძიებლებს სათვალთვალო ვიდეოკამერებიდან ამოღებული მტკიცებულებები უკვე გადაეცათ.

პროკურატურამ აკაკი კობალაძესა და აკაკი ხუსკივაძეს ბრალი წაუყენა

პროკურატურამ თედორე გობეჯიშვილის მიმართ ჯგუფურად განხორციელებული იძულების, მუქარისა და ქრთამის მიცემის ფაქტზე, ასევე, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენისა და შენახვის ფაქტზე დაკავებულებს – აკაკი ხუსკივაძეს და აკაკი კობალაძეს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 6 ნოემბერს ქ.თბილისში აკაკი ხუსკივაძე და აკაკი კობალაძე შეხვდნენ ქ.თბილისის ისნის №5 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თედორე გობეჯიშვილს და პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით, ქრთამის სახით 50.000 აშშ დოლარის

გადახდის სანაცვლოდ, მედიის თანდასწრებით განცხადების გაკეთება შესთავაზეს, თითქოსდა არჩევნები გაყალბდა, რის შემდეგაც მას დემონსტრაციულად უნდა დაეტოვებინა თანამდებობა.

„ბრალდებულები ისნის კომისიის თავმჯდომარეს უარის მიღების შემთხვევაში, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაპატიმრებით და მისი და ოჯახის წევრების ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ. ასევე, ა.კ.-მ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და 2020 წლის 7 ნოემბრის ჩათვლით საკუთარ საცხოვრებელ ბინაში ინახავდა საბრძოლო მასალას, რომელიც მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად იქნა ამოღებული.

პროკურატურამ ა.კ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის 1 ნაწილით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ხოლო ა.ხ.-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 2020 წლის 9 ნოემბერს წარუდგინა.

პროკურატურამ ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა. ასევე, გამოძიებით დგინდება, რომ ბრალდებულებმა ანალოგიური შეთავაზებით საოლქო საარჩევნო კომისიის სხვა წევრებსაც მიმართეს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ვახტანგ გომელაური დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

უცხოელ დიპლომატებს მინისტრი ვახტანგ გომელაური მოადგილეებთან ერთად შეხვდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე საელჩოების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სამინისტროს მხრიდან პროაქტიულად მიეწოდათ ინფორმაცია 8 ნოემბერს, თბილისში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან გამართული აქციის მიმდინარეობის შესახებ. დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაინტერესდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებებით, რომლებიც უკავშირდება მიმდინარე შეკრებებისა და საპროტესტო აქციების დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. აღნიშნულ საკითხზე მათ დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ.

შეხვედრის დასასრულს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გამოითქვა მზაობა შეკრებების დროს გამოვლენილი სამართალდარღვევებისა და მათზე პოლიციის რეაგირების შესახებ ინფორმაციის საერთაშორისო პარტნიორებისთვის პროაქტიულ რეჟიმში მიწოდების თაობაზე.

ნაციონალების აქტივისტს სასამართლომ 1000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა

ვაკის საოლქო კომისიასთან ზვიად კუპრავასთან ერთად აქციაზე დაკავებულ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტ გიორგი რურუას სასამართლომ 1000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. ამის შესახებ რურუამ თბილისის საქალაქო სასამართლოში ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, ჯარიმის გადახდას აპირებს, თუმცა მოსამართლის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება.

– დამეკისრა 1000-ლარიანი ჯარიმა, რის გადახდასაც ვაპირებ, თუმცა დიდად არ ვეთანხმები. კი, სამართალდამცველებს რაღაც ფორმის წინააღმდეგობა გავუწიე, მაგრამ არ მაქვს მე იმხელა შესაძლებლობა, რომ პოლიციელებს წინააღმდეგობა გავუწიო. ეს პროტესტი იყო იმასთან დაკავშირებით, რომ საბურთალოს ოლქზე ოქმების დარღვევა დაფიქსირდა, – განაცხადა გიორგი რურუამ.

შეგახსენებთ, რომ 5 ნოემბერს ვაკის საოლქო კომისიასთან აქციაზე ზვიად კუპრავასთან ერთად 3 პირი დააკავეს.



აზერბაიჯანის ძალები სტეფანაკერტს მიადგნენ

არაღიარებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტის პრესსპიკერ ვაჰრამ პოღოსიანის ინფორმაციით, აზერბაიჯანის ძალები სტეფანაკერტის მისადგომებთან არიან.

მისივე ინფორმაციით, მთიანი ყარაბაღის თავდაცვის არმიამ ქალაქ შუშაზე კონტროლი დაკარგა.

„მტერი სტეფანაკერტის მისადგომთან არის და დედაქალაქის არსებობას უკვე საფრთხე ემუქრება. თუ გვსურს, რომ შუშა კვლავ ჩვენი გახდეს და შევინარჩუნოთ არცახი, მთელი ძალისხმევა უნდა გამოვიყენოთ სტეფანაკერტისა და ფრონტის ხაზის სხვა მიმართულებების საიმედო თავდაცვის ორგანიზებისთვის. ეს არის წარმატების საიმედო და ნამდვილი გარანტია. ყალბი მოწოდებები გამარჯვებისკენ და ფეისბუქის სპეკულაციები თანდათან ყველაფერს დაგვაკარგვინებს. ისტორია ამას არ გვაპატიებს. ჩვენ ბოლომდე ვიბრძვით“, – წერს პოღოსიანი ფეისბუქში.

აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ინფორმაციით კი ქვეყნის არმიამ ოკუპაციისგან კიდევ 20 სოფელი გაათავისუფლა.

კერძოდ, მისი თქმით, აზერბაიჯანმა კონტროლი ფუზულის რაიონის 6 სოფელზე, ხოჯალის რაიონის 4 სოფელზე, ხოჯავანდის 5 სოფელზე, ჯაბრაილის რაიონის 3 სოფელსა და ზანგილანის რაიონის 2 სოფელზე მოიპოვა.

„დღეგრძელობა აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებს, ყარაბაღი აზერბაიჯანია!“ – წერს ალიევი ტვიტერში.

ნინო სადღობელაშვილი: „ბედნიერი ერის ქვეყანა ხელში გვაკვდება არჩევნებიდან არჩევნებამდე“

მწერალი ნინო სადღობელაშვილი გამძლეობას უსურვებს საქართველოს და ჯანმრთელობას თითოეულ ადამიანს ამ რთულ პანდემიურ ვითარებაში:

– ნებისმიერი ძალა თუ პარტია თუ მოძრაობა, რაც ამ ქვეყანაში გაჭაჭანებულა, წესით, მთავარ ორიენტირად ადამიანს ასახელებს ხოლმე და მასზე ზრუნვის ალიბით ითხოვს ჩვენს ხმას, ენერგიას, ნერვებს.

ჰოდა რა გგონიათ ნეტა ეს ადამიანი? და რა არის ის, რაც ამ ადამიანში უნდა დაიცვათ და შეინახოთ? რა უნდა დაუფასოთ ან წაართვათ სიცოცხლეზე მეტი?

ამ გაგანია პანდემიაში, ასეთ გართულებულ ვითარებაში მიტინგების მართვა და ხალხის აქციებზე გარეკვა, გვჯეროდეს მაინც, რომ ეს სამართლიანობის აღდგენისთვის ხდება და არა ამ მუდმივად უპასუხისმგებლო, საკუთარ ტყავს/ფულს დახარბებული „პოლიტიკოსების“ პოლიტვნებების განსაცხრომად! მინიმუმ სიბეცე და მაქსიმუმ დანაშაულია, რადგან, კაცმა არ იცის, რამდენ ადამიანს შეიწირავს ეს გაუთავებელი ზელვა „ჯოს ჯოს“-ის ფონზე და რა სახიფათოა ეს არა მარტო ეგზალტირებული მომიტინგეებისთვის, არამედ იქ მყოფი ჟურნალისტებისთვის, პოლიციელებისთვის და საერთოდაც, ნებისმიერი ჩვენგანისთვის, ვინც ამდენი წელია, გულისხეთქვით შევყურებთ ამ მარაზმატიკულ ორგიას, ამ ამორალურ ბრძოლას ძალაუფლებისთვის და ეს საწყალი, ეს ლამაზი, ეს ბედნიერი ერის ქვეყანა ხელში გვაკვდება არჩევნებიდან არჩევნებამდე!..

გამძლეობა საქართველოს და ჯანმრთელობა თითოეულ ადამიანს, ადამიანს – თუღა გვახსოვს საერთოდ, ეს სიტყვა რასაც ნიშნავს.

ანდრია გველესიანი: „ამაზრზენია ეს ყველაფერი“

ახმეტელის თეატრის მსახიობი და მომღერალი ანდრია გველესიანი კატეგორიულად არ მიესალმება საქართველოში მოვლენების ასე განვითარებას:

– ამაზრზენია ეს ყველაფერი. ყველა პარტიისა და პოლიტიკოსის დდშვც, ვინც ამ მდგომარეობამდე მიიყვანეთ ხალხი და ჩვენი ქვეყანა!

ჯერ ხომ მოსახლეობა გაყავით და შეაძულეთ ერთმანეთი. მოწამლეთ პარტიულობით!

მერე ამ არჩევნებს შესწირეთ ამდენი ადამიანის ჯანმრთელობა. და მხოლოდ ახლა იღებთ ახალ რეგულაციებს, ვითომ რომ ამით ეშველება სიტუაციას. მაშინ, როცა უკვე თითქმის ორი კვირაა, დღეში საშუალოდ 20 ადამიანი იღუპება ამ საძაგელი ვირუსით, რომელიც ძალიან არალოგიკურად გავრცელდა ზაფხულის პერიოდში, რაც პირადად ჩემთვის კიდევ ბევრ კითხვას ბადებს.

ამ დროს კიდევ ეწყობა და იმართება აქცია, რომელიც ამ ვირუსის გავრცელების კიდევ უფრო დიდ საშიშროებას ქმნის. ყველას კარგად გვახსოვს, როგორი პანიკა მოჰყვა წინასააღდგომოდ ადამიანების ეკლესიაში მისვლის საკითხს სწორედ ზემოთ აღნიშნული საშიშროების გამო, მაშინ როცა 20-25 კაცი გვყავდა დღეში ინფიცირებული და ამ დროს კიდევ უფრო ვერ ვხვდები, საერთოდ დაიკიდეთ ხნიერი თანამოქალაქეები, ქრონიკულად დაავადებული ხალხი?!

მეტსაც გეტყვით, სრულიად ჯანმრთელი ბევრი ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა ამ ვერაგმა ვირუსმა.

მაგრამ კარგი. ამას ზევიდან როცა ემატება ის, რომ აქციის მონაწილეებს წყლით ჭავლით შლიან. ამ ვითარებაში, ასეთ სიცივეში, ალბათ, უკიდურესს შემთხვევაშიც კი არ უნდა გამოეყენებინათ ეს მეთოდი! აი, აქ ვრწმუნდები, რომ არავის აღარ აღელვებს ყველაზე ღირებული – ერთმანეთის სიცოცხლე! და ამ ყველაფრის შემდეგ არ გეგონოთ, რომ მხოლოდ ეს ვირუსია ყველაზე დიდი საშიშროება.

ღმერთის წყალობით, ამ მძიმე პერიოდსაც გადავიტანთ, მაგრამ რა ეშველება ერთმანეთის სიძულვილს, რომელმაც ასე მჭიდროდ მოიკიდა ფეხი საზოგადოებაში. უკვე წლებია, ერთსა და იმავე წრეზე მივდივართ და აქ უკვე აღარ აქვს მხარეებს აღარანაირი მნიშვნელობა მანამ, სანამ არ გავიაზრებთ, რომ ჩვენ ერთნი ვართ და ქართველი ხალხი გვქვია! ძალიან მტკივა ეს სიტუაცია ჩემს ქვეყანაში.

კოვიდ 19-ის ამერიკულ-გერმანული ვაქცინა 90%-ით ეფექტურია

აშშ-ის წამყვანი ფარმაცევტული კომპანია პფაიზერისა და გერმანული კომპანია ბიონტექის განცხადებით, მათ მიერ შექმნილ ვაქცინაზე მიმდინარე კვლევის წინასწარმა ანალიზმა აჩვენა, რომ ვაქცინა კოვიდ-19-ით დაინფიცირებისგან ვაქცინირებული ადამიანების 90%-ზე მეტს იცავს.

პფაიზერისა და ბიონტექის ვაქცინა ექსპერიმენტულ მიდგომაზეა დაფუძნებული, რომელიც იმუნური სისტემის მომზადების მიზნით, ვირუსის გენეტიკური კოდის ნაწილის ინექციას გულისხმობს.

კომპანიები აცხადებენ, რომ ვაქცინა 6 ქვეყანაში 43.500 ადამიანზე გამოცადეს და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით პრობლემები არ შექმნილა.

ვაქცინაზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კოვიდ 19-ისგან დასაცავად საჭიროა 2 დოზა, 3 კვირის ინტერვალით. 90%-იანი დაცვა კი მეორე დოზის მიღებიდან 7 დღეში მიიღწევა. საცდელი კვლევები აშშ-ში, გერმანიაში, ბრაზილიაში, არგენტინაში, სამხრეთ აფრიკასა და თურქეთში ჩატარდა.

პფაიზერში აცხადებენ, რომ მიმდინარე წლის ბოლოსთვის ვაქცინის 50 მილიონი დოზის მიწოდება, 2021 წლის ბოლოსთვის კი ამ რაოდენობის 1.3 მილიარდამდე გაზრდა იქნება შესაძლებელი.

ამასთან, არსებობს ლოჯისტიკასთან დაკავშირებული გამოწვევები, რადგან ვაქცინის შენახვა ულტრაცივ საცავში, 80 გრადუსზე დაბალ ტემპერატურაზე უნდა მოხდეს.

კომპანიები გეგმავენ, რომ თავიანთი ვაქცინის გამოყენებისთვის საჭირო საგანგებო ნებართვის მოპოვების თხოვნით შესაბამის ორგანოებს უახლოეს მომავალში მიმართონ.

თელავის თეატრის მსახიობებს ეთერ ბაბილაშვილსა და კარლო ქართველიშვილს ვარსკვლავები გაუხსნეს

კულტურის პალატის ორგანიზებით თელავის თეატრის დამსახურებულ მსახიობებს ეთერ ბაბილაშვილსა და კარლო ქართველიშვილს იუბილესთან დაკავშირებით თეატრის შენობის წინ სახელობითი ვარსკვლავები გაუხსნეს.

ეთერი ბაბილაშვილი თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობია 1963 წლიდან. თეატრში მოღვაწეობის 57 წლის განმავლობაში შესრულებული აქვს მრავალი მთავარი და მეორეხარისხოვანი როლი. 2016 წელს გადაეცა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრემია მეორეხარისხოვანი ქალის როლის „ბრიგიტას“ შესრულებისთვის სპექტაკლში „ვინ გატეხა ქოთანი?!“ რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე, დადგმის ხელმძღვანელი რობერტ სტურუა. გასულ წელს კი საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა სესილია თაყაიშვილის სახელობის ჯილდო.

კარლო ქართველიშვილი თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობია 1970 წლიდან. თეატრში მოღვაწეობის 50 წლის განმავლობაში შესრულებული აქვს მრავალი მთავარი და მეორეხარისხოვანი როლი. შარშან საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მას შოთა ბეჟანიშვილის სახელობის ჯილდო გადასცა. იუბილარი მსახიობების ვარსკვლავების გახსნის ცერემონიალზე, კორონავირუსული ინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, თეატრის დარბაზში წარმოდგენა არ გაიმართა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რუსმა ჯარისკაცმა 3 ოფიცერი მოკლა

რუსეთის ქალაქ ვორონეჟთან მდებარე სამხედრო აეროდრომ „ბალტიმორზე“ ერთ-ერთმა სამხედრო მოსამსახურემ სამი ოფიცერი მოკლა, ერთი კი დაჭრა.

სამხედრო მოსამსახურე თავდაპირველად ოფიცერს ნაჯახით დაესხა თავს და ცეცხლსასროლი იარაღი წაართვა, ამის შემდეგ კი აეროდრომის ტერიტორიაზე ცეცხლი გახსნა.

თავდასხმის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

რუსული მედიის ცნობით, თავდამსხმელი ჯარისკაცი ანტონ მაკაროვია, რომელმაც გაქცევა მოახერხა, მაგრამ პოლიციამ ის დაიკავა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მგზავრებისა და ოლიმპის პირველი გამარჯვებები

ტიტები-მგზავრები 77:79
(16:19, 20:26, 22:17, 19:17)

ტიტებისა და მგზავრების ორთაბრძოლა ძალიან დაძაბული გამოდგა. სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აქაც მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა – 3 წაგების მქონე გუნდმა დაუმარცხებელ მეტოქეს სძლია.

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა იბრძოლა, იომა და მიმდინარე სუპერლიგაში პირველი გამარჯვება იზეიმა – 79:77. აქვე აღვნიშნავთ, რომ მე-4 ტურის წინ ჩემპიონატში 3 გუნდი იყო მოგების გარეშე, თუმცა მგზავრებმაც, ვერამაც და ოლიმპმაც მოახერხეს სასურველი შედეგების დაფიქსირება და სუპერლიგაში მოუგებელი გუნდი აღარ დარჩა.

მგზავრებმა მატჩი ბოლო წამებზე მოიგო – გამარჯვება დამსახურებული იყო. მგზავრები თავიდანვე იგებდა და მათმა ლიდერობამ პირველი ტაიმის ბოლოს მაქსიმუმს – 9 ქულას (45:36) მიაღწია. მანუჩარ მარკოიშვილმა შესვენება კარგად გამოიყენა და მე-2 ტაიმში მოედანზე დაბრუნებული ტიტების კალათბურთელები შედეგიანად ათამაშდნენ. ლეგიონერებმა ტემპსა და შედეგიანობას უმატეს, ხოლო აკაკი ლომოურმა მნიშვნელოვანი სამქულიანი მიითვალა და მესამე პერიოდის შუაწელში ტიტებმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა – 49:50.

ბოლო პერიოდში მარკოიშვილის გუნდმა დაწინაურებაც მოახერხა. ჯორდონ თალის ზუსტი შეტევის შემდეგ საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე ტიტებმა 5-ქულიანი ლიდერობა მოიპოვა – 73:68. ბერიშვილმა წუთშესვენება აიღო, ხოლო თამაში საკუთარ თავზე მგზავრების

უკანახაზელმა ჯეიდონ კოჰმა აიღო. ამერიკელი ლეგიონერის მიჯრით მითვლილი 5 ქულის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა – 75:75. ტიტების შეტევაში დავით ლომიძემ 3-ქულიანი ააცილა და კოჰმა კვლავ შეუტია, რომელიც ჯარიმით შეაჩერეს და ამერიკელმა საფინალო სირენამდე 18 წამით ადრე ორივე სროლა ჩააგდო – 77:75.

ტიტების უკანახაზელმა ტაილან ბერდსმა ასევე საჯარიმოებით გაათანაბრა ანგარიში და მგზავრებს შესატევად 16 წამი დარჩა. ჯეიდონ კოჰმა დრიბლინგით დრო გაიყვანა და მატჩის დასრულებამდე 4 წამით ადრე ტიტების ფარქვეშ შეიჭრა. ჯარიმა და ამერიკელმა კვლავ ზუსტად შეასრულა საჯარიმოები – 79:77 დასრულებამდე 4 წამით ადრე. მარკოიშვილს წუთშესვენებების ლიმიტი ამოწურული ჰქონდა და ტიტებმა ვერც შეტევა დაგეგმეს და ბურთის თამაშში შეტანა საკუთარი ფარქვეშიდან მოუხდათ. 4 წამი საკმარისი არ აღმოჩნდა გააზრებული შეტევის განსახორციელებლად და დროც ამოიწურა.

მატჩის გმირმა ჯეიდონ კოჰმა მგზავრებს 18 ქულა შესძინა (9 ბოლო 3 წუთში). ყველაზე შედეგიანი კი გამარჯვებულთაგან ტროი სტიუარტი გახლდათ 20 ქულითა და 8 მოხსნით. 18 ქულა ტეილორ ედვეიმ მოაგროვა. ტიტებში 24 ქულით საუკეთესო იყო ტაილან ბერდსი, ხოლო ჯორდან თალის ანგარიშზე 17 ქულა და 8 პასი დაგროვდა.

ოლიმპი-თსუ 80:73
(20:21, 20:19, 14:17, 26:16)

ოლიმპმა მიმდინარე სუპერლიგაში პირველი მატჩი მოიგო. დიმიტრი ჯაკობოვის გაწვრთნილმა გუნდმა ეს მე-4 ცდაზე შეძლო. საწყის ტურებში დამარცხებულმა ოლიმპელებმა საკმაოდ სოლიდურ მეტოქეს – თსუ-ს მოუგეს. თან ეს ისე მოახერხეს, რომ გუნდის ერთბაშად 5 კალათბურთელი აკლდათ. ტრავმების გამო მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს კახა ჯინჭარაძემ, ოთარ ფხაკაძემ, ლუკა კალატოზიშვილმა, დავით აბულაძემ და ლევან გოგიჩაიშვილმა.

დანაკლისის გამო ოლიმპის სათამაშო სტილი მეტწილად ინდივიდუალური იყო. სრული კარტბლანში მიიღო ამერიკელმა გამთამაშებელმა კენდრიკ ტომპსონმა და ოლიმპმაც მისი დიდებული საშემსრულებლო ოსტატობის ხარჯზე იმარჯვა. ტომპსონმა შეხვედრა 38 ქულით დაასრულა. მან 15 ცდიდან 9 სამქულიანი ჩააგდო. აქედან ბოლო იყო თსუ-ელთა წელში გამტეხი, რომელიც შეხვედრის დასრულებამდე 1 წუთით ადრე მოხდა და ოლიმპელები 7 ქულით დააწინაურა.

ტომპსონთან ერთად ოლიმპის რიგებში სხვა ლეგიონერებიც – დევანტე ფოსტერი და ბუნდუ აბდულაი აქტიურობდნენ. საკმაოდ კარგად ითამაშეს ახალგაზრდა უკანახაზელებმა – ლევან ქვარცხავამ და დავით წივწივაძემ, რომლებმაც არაერთი მნიშვნელოვანი პასი თუ ჩაჭრა მიითვალეს.

რაც შეეხება შეხვედრის მიმდინარეობას, უმეტესწილად თსუ-ელები იგებდნენ, მაგრამ ოლიმპი მუდამ კვალში იყო და ხანდახან ანგარიშსაც ათანაბრებდა. გადამწყვეტი გამოდგა ბოლო პერიოდის საწყისი წუთები, როცა 63:60 დაწინაურებულ თსუ-ს ოლიმპელებმა გაქცევა მოუწყვეს და 3-წუთიანი მონაკვეთის 10:4 მოგების შემდეგ 70:67 დაწინაურდნენ. აქ კი საკუთარ თავზე აიღეს თამაში ოლიმპის ლეგიონერებმა და ერთი-ერთზე, სწრაფ თამაშში მეტოქე საბოლოოდ გატეხეს – 80:73.

მატჩის ბოლო წუთზე 2 ტექნიკურის გამო თამაშიდან გააძევეს თსუ-ს მწვრთნელი ლექსო ლაფანაშვილი, თუმცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, რადგან ოლიმპი 7 ქულას იგებდა და მეტოქისთვის მიუწვდომელი იყო.

გამარჯვებულთაგან 38 ქულით ტომპსონმა იყოჩაღა, 15 ქულა ჰქონდა დევანტე ფოსტერს, ხოლო ბუნდუ აბდულაიმ 9 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა. თსუ-ში 28 ქულით ბრენდონ სლაი გამოირჩა. 13 ქულა და 9 მოხსნა საბა ლობჯანიძის ანგარიშზეა.

საკალათბურთო სუპერლიგის მე-4 ტურის 1 მატჩი რუსთავსა და ქუთაისს შორის მოგვიანებით შედგება. არადა, ორივე გუნდი წაუგებელია, თუმცა იმერლები პირველ ადგილზე არიან, ხოლო ქვემოქართლელები – ბოლოზე. ეს იმიტომ, რომ რუსთავს მხოლოდ 2 თამაში აქვს ჩატარებული და, თუ ქუთაისს მოუგო, პოტენციური ლიდერი ხდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საქართველოს ნაკრები უკვე ბრიტანეთშია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები უკვე ბრიტანეთშია, სადაც 13 ნოემბრიდან 6 დეკემბრის ჩათვლით „შემოდგომის ერთა თასში“ მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოდან წასულ დიდი 10-ის მორაგბეებს საფრანგეთიდან ლეგიონერებიც შეუერთდნენ, ჩაუტარდათ კოვიდტესტები და კონტაქტური ვარჯიშების გამართვის უფლება მხოლოდ ხვალიდან ექნებათ.

როგორც იცით, კოვიდ 19-ის მსოფლიო პანდემიის გამო წელს სამხრეთ და ჩრდილოეთ ნახევარსფეროს შორის ტესტმატჩების გამართვა შეუძლებელი გახდა. 6 ერისა და მსოფლიო რაგბის გადაწყვეტილებით, ალტერნატივის სახით „შემოდგომის ერთა თასი“ გაიმართება, რომელშიც 6 ერის (ინგლისი, საფრანგეთი, ირლანდია, უელსი, შოტლანდია, იტალია), საქართველოსა და ფიჯის ნაკრებები ითამაშებენ.

„ბორჯღალოსნები“ ა ჯგუფში ინგლისის, ირლანდიისა და უელსის ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშებენ, ბ ჯგუფში კი საფრანგეთი, შოტლანდია, იტალია და ფიჯი მოხვდნენ. ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ პირველადგილოსნები ტურნირის გამარჯვებულს გამოავლენენ, მეორეადგილოსნები მესამე პოზიციისთვის ითამაშებენ, ჯგუფში მესამეები ტურნირზე მეხუთე, ხოლო მეოთხეები მე-7 ადგილს გაითამაშებენ.

ჯგუფურ ეტაპზე გამარჯვებული გუნდი 4 სატურნირო ქულას მიიღებს, ფრე 2 ქულაა და იმოქმედებს ბონუსსისტემა – მეოთხე ლელოს გატანა ან 7 და ნაკლები ქულით მარცხი 1 ქულად ფასობს.

ტურნირი 13 ნოემბერს ირლანდიისა და უელსის ნაკრებების შეხვედრით იხსნება, „ბორჯღალოსნები“ კი პირველ მატჩს 14 ნოემბერს „თვიქენჰემზე“ 2020 წლის 6 ერის გამარჯვებულ და 2019 წლის მსოფლიო თასის ფინალისტ ინგლისთან გამართავენ.

21 ნოემბერს უელსის ნაკრებს ჰლანეჰლიში ვერკინებით, ხოლო 29-ში ირლანდიას დუბლინში ვეთამაშებით. დასკვნითი შეხვედრა 5 დეკემბერსაა ჩანიშნული და მეტოქის ვინაობა ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ გაირკვევა, ტურნირის ფინალი კი 6 დეკემბერსაა ჩანიშნული.

საქართველოს ნაკრების რაზმი შემოდგომის ერთა თასისთვის ასეთია:

შერკინება: მიხეილ ნარიაშვილი, გურამ გოგიჩაშვილი, ლექსო ყაულაშვილი, შალვა მამუკაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი ჭყოიძე, გიორგი მელიქიძე, ბექა გიგაშვილი, ნოდარ ჭეიშვილი, გრიგორ ქერდიყოშვილი, ლაშა ჯაიანი, გიორგი ჯავახია, კოტე მიქაუტაძე, მიხეილ გაჩეჩილაძე, ბექა გორგაძე, ბექა საღინაძე, ოთარ გიორგაძე, გიორგი თხილაიშვილი, თორნიკე ჯალაღონია;

ხაზი: ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, მიხეილ ალანია, თედო აბჟანდაძე, ლაშა ხმალაძე, ლუკა მატკავა, მერაბ შარიქაძე, გიორგი კვესელაძე, დემე თაფლაძე, მირიან მოდებაძე, აკაკი ტაბუცაძე, სანდრო თოდუა, თამაზ მჭედლიძე, სანდრო სვანიძე, სოსო მათიაშვილი, დავით ნინიაშვილი.

დინამომ თბილისური დერბი მოიგო

ლოკომოტივი-დინამო (თბ) 0:2
თბილისი. მიხეილ მესხი 2
0:1, 0:2 სხირტლაძე (77, 83)

ლოკომოტივი: შეროზია, გურეშიძე, ანდრონიკაშვილი, გაბაძე, უბილავა, დარცმელია, შონია, იმრანი (კობახიძე 84), თ.კირკიტაძე (დ.კირკიტაძე 86), გავაშელიშვილი (იაკობიძე 75), სიხარულიძე

დინამო: კვასხვაძე, კლოუსტერი, კობოური, ქიმაძე, ბენიო, მექვაბიშვილი (ზარია 75), ქარდავა, კუცია (კაპანაძე 83), სხირტლაძე, პერნამბუკო (შულაია 71)

ეროვნული ლიგის მე-13 ტურის გამოტოვებული შეხვედრა, რომელიც ლოკომოტივსა და თბილისის დინამოს შორის გაიმართა, სტუმართა გამარჯვებით დასრულდა.

პრინციპული დაპირისპირება გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი

ტაიმის მიწურულს და მეორე ტაიმის საწყის წუთებში ლოკომოტივი განსაკუთრებულად აქტიური იყო და გოლის გატანის რამდენიმე შანსიც ჰქონდათ.

მასპინძლების მიერ შექმნილი სახიფათო მომენტების გათვალისწინებით, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გოლის გატანა ჭიაბრიშვილის გუნდისთვის დროის საკითხი იყო, მაგრამ ყველა ეპიზოდში, დინამოელთა მეკარე როინ კვასხვაძე შესანიშნავად თამაშობდა და მეტოქეს კარის აღების საშუალება არ მისცა.

77-ე წუთზე ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, დინამო დავით სხირტლაძემ დააწინაურა. მის ანგარიშზევეა 83-ე წუთზე გატანილი გოლიც და მორიგი 3 ქულა, რომელიც მოქმედი ჩემპიონებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახლდათ.

ამ დროისთვის ლოკომოტივს 22 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მე-4 ადგილზეა. 31 ქულა აქვს თბილისის დინამოს და ამ მაჩვენებლით გუნდი სატურნირო ცხრილს ისევ ერთპიროვნულად ლიდერობს. უახლოეს მდევარ ბათუმის დინამოს დედაქალაქელები უკვე 5 ქულით უსწრებენ. თუმცა, ზღვისპირელებს თამაში თადარიგში აქვთ...

სატეხნიო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	14	9	4	1	27-6	31
2.დინამო (ბთ)	13	7	5	1	23-10	26
3.დილა	15	6	6	3	23-12	24
4.ლოკომოტივი	14	6	4	4	21-18	22
5.საბურთალო	15	5	6	4	22-16	21
6.თელავი	15	3	10	2	13-11	19
7.სამტრედია	15	5	4	6	12-18	19
8.ტორპედო	13	4	4	5	13-19	16
9.მერანი	15	0	6	9	4-23	6
10.ჩიხურა	15	1	3	11	14-39	6

შედეგები

8 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტბრომვიჩი-ტოტენჰემი 0:1
ლესტერი-ვულვზი 1:0
სიტი-ლივერპული 1:1
არსენალი-ასტონ ვილა 0:3

სატურნირო ცხრილი:

1.ლესტერი	8	8	0	2	18-9	18
2.ტოტენჰემი	8	5	2	1	19-9	17
3.ლივერპული	8	5	2	1	18-16	17
4.საუთჰემპტონი	8	5	1	2	16-12	16
5.ჩელსი	8	4	3	1	20-10	15
6.ასტონ ვილა	7	5	0	2	18-9	15
7.ევერტონი	8	4	1	3	16-14	13
8.კრ.პალასი	8	4	1	3	12-12	13
9.ვულვზი	8	4	1	3	8-9	13
10.სიტი	7	3	3	1	10-9	12
11.არსენალი	8	4	0	4	9-10	12
12.ვეტს ჰემი	8	3	2	3	14-10	11
13.ნიუკასლი	8	3	2	3	10-13	11
14.მანჩესტერი	7	3	1	3	12-14	10
15.ლიდსი	8	3	1	4	14-17	10
16.ბრაიტონი	8	1	3	4	11-14	6
17.ფულემი	8	1	1	6	7-15	4
18.ვესტ ბრომვიჩი	8	0	3	5	6-17	3
19ბარნლი	7	0	2	5	3-12	2
20.შეფილდი	8	0	1	7	4-14	1

გერმანია. ბუნდესლიგა

ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი 2:1
ლევერკუზენი-გლადბახი 4:3

სატეხნიო ცხრილი:

1.ბაიერნი	7	6	0	1	27-11	18
2.ლაიფციგი	7	5	1	1	15-4	16
3.დორტმუნდი	7	5	0	2	15-5	15
4.ლევერკუზენი	7	4	3	0	14-8	15
5.უნიონი	7	3	3	1	16-7	12
6.ვოლფსბურგი	7	2	5	0	7-5	11
7.გლადბახი	7	3	2	2	12-12	11
8.შტუტგარტი	7	2	4	1	13-9	10
9.ვერდერი	7	2	4	1	9-9	10
10.აუგსბურგი	7	3	1	3	9-10	10
11.აინტრახტი	7	2	4	1	10-12	10
12.ჰერტა	7	2	1	4	13-13	7
13.ჰოფენჰაიმი	7	2	1	4	11-12	7
14.ფრაიბურგი	7	1	3	3	8-16	6
15.არმინია	7	1	1	5	4-15	4
16.კიოლნი	7	0	3	4	7-12	3
17.შალკე	7	0	3	4	5-22	3
18.მაინცი	7	0	1	6	7-20	1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დარმშტადი-პადერბორნი 0:4
ზ.პაული-კარლსრუე 0:3
რეგენსბურგი-ოსნაბრიუკი 2:4

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ხეტაფე-ვილიარეალი 1:3
სოსიედადი-გრანადა 2:0
ვალიადოლიდი-ბილბაო 2:1
ლევანტე-ალავესი 1:1
ვალენსია-რეალი 4:1

სატეხნიო ცხრილი:

1.სოსიედადი	9	6	2	1	20-4	20
2.ვილიარეალი	9	5	3	1	13-9	18
3.ატლეტიკო	7	5	2	0	17-2	17
4.რეალი	8	5	1	2	14-9	16
5.გრანადა	8	4	2	1	9-11	14
6.კადისი	9	4	2	3	8-10	14
7.ბეტისი	9	4	0	5	12-17	12
8.ბარსელონა	7	3	2	2	15-8	11
9.ვალენსია	9	3	2	4	15-14	11
10.ხეტაფე	8	3	2	3	8-9	11
11.ელჩე	7	3	2	2	7-8	11
12.სევილია	7	3	1	3	7-6	10
13.ოსასუნა	8	3	1	4	7-8	10
14.ბილბაო	8	3	0	5	7-9	9
15.ალავესი	9	2	3	4	7-10	9
16.ეიბარი	9	2	3	4	6-9	9
17.სელტა	9	1	4	4	6-15	7
18.ლევანტე	8	1	3	4	8-13	6
19.ვალიადოლიდი	9	1	3	5	7-14	6
20.უესკა	9	0	6	3	7-15	6

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

საბადელი-მალაგა 1:2
ალკორკონი-ფუენლაბრადა 0:3
რაიო-ალმერია 0:1
მალიორკა-პონფერადინა 3:0
ოვიედო-კასტელონი 4:0
ტენერიფე-სარაგოსა 1:0

იტალია. სერია ა

ლაციო-იუვენტუსი 1:1
ატალანტა-ინტერი 1:1
ჯენოა-რომა 1:3
ტორინო-კროტონე 0:0
ბოლონია-ნაპოლი 0:1
მილანი-ვერონა 2:2

სატეხნიო ცხრილი:

1.მილანი	7	5	2	0	16-7	17
2.სასუოლო	7	4	3	0	18-9	15
3.ნაპოლი	7	5	0	2	15-7	14
4.რომა	7	6	2	1	16-11	14
5.იუვენტუსი	7	3	4	0	15-6	13
6.ატალანტა	7	4	1	2	18-14	13
7.ინტერი	7	3	3	1	16-11	12
8.ვერონა	7	3	3	1	10-5	12
9.ლაციო	7	3	2	2	11-13	11
10.სამპდორია	7	3	1	3	11-11	10
11.კალიარი	7	3	1	3	14-15	10
12.ფიორენტინა	7	2	2	3	10-12	8
13.სპეცია	7	2	2	3	11-15	8
14.ბოლონია	7	2	0	5	11-13	6
15.პარმა	7	1	3	3	8-13	6
16.ბენევენტო	7	2	0	5	10-20	6
17.ტორინო	7	1	2	4	12-16	5
18.ჯენოა	7	1	2	4	7-15	5
19.უდინეზე	7	1	1	5	6-11	4
20.კროტონე	7	0	2	5	6-17	2

იტალია. სერია ბ

პესკარა-ჩიტადელა 3:1
რეჯანა-ვენეცია 2:1
ვირტუსი-ლეჩე 1:5

საფრანგეთი. ლიგა 1

ბრესტი-ლილი 3:2
ლანსი-რეიმსი 4:4
ლორიანი-ნანტი 0:2
მეცი-დიჟონი 1:1
ნიმი-ანჟე 1:5
ნიცა-მონაკო 1:2
ლიონი-სტ.ეტიენი 2:1

სატეხნიო ცხრილი:

1.პსჟ	10	8	0	2	26-3	24
2.ლილი	10	5	4	1	17-7	19
3.რენი	10	5	3	2	18-14	18
4.მარსელი	9	5	3	1	12-8	18
5.ლიონი	10	4	5	1	17-10	17
6.მონაკო	10	5	2	3	17-14	17
7.მონპელიე	10	5	2	3	16-13	17
8.ნიცა	10	5	2	3	15-12	17
9.ანჟე	10	5	1	4	15-20	16
10.მეცი	10	4	3	3	11-8	15
11.ლანსი	8	4	2	2	14-14	14
12.ბორდო	10	3	3	4	9-11	12
13.ბრესტი	10	4	0	6	15-22	12
14.ნანტი	9	3	2	4	11-13	11
15.სტ.ეტიენი	10	3	1	6	10-15	10
16.რეიმსი	10	2	3	5	16-18	9
17.ლორიანი	10	2	2	6	12-17	8
18.ნიმი	10	2	2	6	10-19	8
19.სტრასბური	10	2	0	8	10-19	6
20.დიჟონი	10	0	4	6	5-19	4

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

უტრეხტი-აიაქსი 0:3
ვიტესი-ემენი 3:1
ფეინოორდი-გრონინგენი 2:0
ჰერენვენი-ალკმაარი 0:3
პსვ-ტილბურგი 3:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ნასიონალი-ჟილ ვისენტე 2:1
ფარენსე-ბოავიშტა 3:1
პორტუ-პორტიმორენშე 3:1
ბენფიკა-ბრაგა 2:3

ჩეხეთი. პრემიერლიგა

ხიმკი-რუბინი 2:0
ცსკა-როსტოვი 2:0
დინამო-ლოკომოტივი 5:1
ზენიტი-კრასნოდარი 3:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

მოზერველი-სელტიკი 1:4
რეინჯერსი-ჰამილტონი ..... 8:0(4:0)

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლინცერი-ადმირა 4:0
რაპიდი-ზალცბურგი 1:1

ბელგია. ა დივიზიონი

ანტვერპენი-სტანდარდი 1:1
ოსტენდე-ბრიუგე 1:3
გენტი-ანდერლეხტი 1:1
სერკლი-ვარეგემი 1:3

შვეიცარია. სუპერლიგა

იანგბოიზი-სტ.გალენი 0:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ოფი-ოლიმპიაკოსი 0:2
აპოლონი-პაოკი 1:3

თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-ქარაგუმრუქი 2:2
მალათია-დენიზლი 2:0
ბაშაქშეჰირი-გენჩლერი 2:1
ქაისერი-ხატაი 0:1
სივასი-გალათასარაი 1:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

კარვინა-ბოჰემიანსი1905 ..... 2:1
ტეპლიცე-ლიბერეცი 1:2
სლავია-ბოლესლავი 1:0
პლზენი-სპარტა 3:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ლეგია-ლეხი 2:1
ჩენსტოხოვა-ვისლა 0:0

უკრაინა. პრემიერლიგა

რუხი-ინგულეცი 2:2
დინამო-შახტარი 0:3
ზორია-ვორსკლა 0:0

დანია. სუპერლიგა

ლუნგბიუ-ორხუსი 1:2
ნორდსიელანდი-ვეიერლე 1:1
ბრონდბიუ-ოდენსე 3:1
მიდტიულანდი-კოპენჰაგენი 4:0
ჰორსენსი-სონდერიისკე 0:3

შვედეთი. ალსვენსკა

ვარბერგი-ჰამარბი 5:2
იორებრო-კალმარი 0:1
დიურგარდენი-აიკი 0:1
მალმიო-სირიუსი 4:0
ჰელსინბორგი-გიოტებორგი 0:1

ნოიეგია. ელიტსერია

ბოდო ..... გლიმდტი-ალესუნდი 7:0
ვიკინგი-რუსენბორგი 3:0
მიოლდე-კრისტიანსუნდი 2:2
სანდერფიორდი-სტაბეკი 0:0
სტარტი-სარპსბორგი 3:2
ვალერენგა-ოდ ..... გრელანდი 2:0

მოამზადა მიხეილ ყორაყოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. უალკოჰოლო, არომატული, მატონიზირებელი სასმელი; 2. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 3. პატარა არია ოპერაში; 5. მდინარე ქციას სახელწოდება ქვედა დინებაში; 6. რაიონული ცენტრი გურიაში; 8. ურთიერთდათმობით მიღებული შეთანხმება; 10. „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი ინგლისელი ქართველოლოგი; 12. ძველ რომში მოხელე, რომელიც აწარმოებდა მოქალაქეთა ქონების შეფასებას და აკონტროლებდა მათ მიერ გადასახადების გადახდას; 14. კომპანია „ზარას“ მფლობელი; 15. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 16. საოლქო ცენტრი უკრაინაში.

თარაზულად: 1. ხურდა ფული თურქეთში; 4. მიწაში ბინადარი ცხოველი; 7. ხორბლის, მარცვლეულის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. წყალხმელეთა ცხოველი; 12. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 13. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 17. მხატვრულ-დეკორატიული სტილი ევროპულ არქიტექტურაში; 18. საქართველოში გავრცელებული ფრანგული ჯიშის ვაზი; 19. შვედური კოსმეტიკური ფირმა; 20. ტბა ბოლივია-პერუს საზღვარზე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გუდაუთა; 2. ფტორი; 3. გალენიტი; 4. ბაირამი; 5. ბურგუნდია; 9. მერანი; 12. სტელაჟი; 14. უზნაძე; 15. სუვა; 17. მანია; 18. ლისი.

თარაზულად: 6. მულატი; 7. კატმანდუ; 8. კაპორი; 10. ნანდუ; 11. კასტანიეტა; 13. პუანსონი; 16. სტიგმა; 19. ისლანდია; 20. ნეგროიდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხევი; 2. კოშტა; 3. უჯარმა; 5. ზვარე; 6. ლოგოპედი; 8. იუნილეევერი; 10. ეგოიზმი; 12. ნანსენი; 14. ვეტელი; 15. ღიღინი; 16. ესაძე.

თარაზულად: 1. ხვლიკი; 4. იზაბელა; 7. ტოშიბა; 9. მოხერი; 11. ინტრიგა; 12. ნეგროიდი; 13. აირანი; 17. ოუენსი; 18. თექა; 19. ინანთეული; 20. ჩინეჩიტა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3613

ევრო — 3.9892

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4181

100 რუსული რუბლი — 4.3379

ამინდის პროგნოზი 10 ნოემბრისათვის

„რანინამ“ 3 რჩეული ფინალისტი დაასახელა

მუსიკალურმა შოუ „რანინამ“ 10 ნახევარფინალისტიდან 5 ფინალისტი შეარჩია, მათგან კი 3 რჩეული ფინალისტი დაასახელა.

ფინალურ ტურში გადავიდნენ სანდრა გადელია, რატი გელოვანი და მარიტა ხვედელიძე. ფინალისტებს ნია ხიხჩიკაშვილი და შიო კავსაძე გამოეთიშნენ. „რანინას“ სამი რჩეული ფინალისტიდან გამარჯვებული 13 ნოემბერს გაირკვევა. „რანინას“ გამარჯვებული საქართველოს საბავშვო ევროვიზიაზე წარადგენს, რომელიც ნოემბრის ბოლოს გაიმართება.

ნინო ქათამაძემ ათასობით ადამიანის კრიტიკა დაიმსახურა

მომღერალმა ნინო ქათამაძემ ათასობით ადამიანის კრიტიკა დაიმსახურა იმის გამო, რომ 8 ნოემბერს საზოგადოებას რუსთაველის გამზირზე მისვლისკენ მოუწოდა.

როგორც მომღერალმა განაცხადა, ამ აქციით უნდა გადაწყვეტილიყო, როგორი ცხოვრება გვინდა:

– შვილების ბედნიერებით განათებული ქვეყანა, ფერადი სახლები, ყვავილებით სავსე ქუჩები, მუსიკითა და ლექსებით სავსე საღამოები თუ ნაცრისფერი კედლები, უბედური მშობლები, გაძარცვული სახლები, ბნელი ღამეები, მკვდარი ყვავილები, – ეს განცხადება და რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციაზე მისვლა გახდა მიზეზი, რის გამოც მომღერლის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვები არ დაიშურეს.

აკა სინჯიკაშვილი: „გვაცადეთ ჩვენც ცხოვრება“

აცხადებს სცენარისტი აკა სინჯიკაშვილი და ყველა იმ პარტიას მიმართავს, რომლებიც, წლებია, სკამებს ვერ იყოფენ:

– აი, ისინი იყვნენ, გვცემდნენ, მერე ისინი იყვნენ და გვცემდნენ, მერე ესენი მოვიდნენ გვცემეს, ახლა ესენი არიან და გვცემენ! ახალი რას იზამს, როგორ გგონიათ?

გაატრაკეთ მართლა ამ პარტიებმა. გვაცადეთ ჩვენც ცხოვრება, რა ვერ გაიყავით, რამდენი სკამია სულ და სადამდე უნდა გვცემდეთ სულ, თქვენი დედა ვატირე.

50000 ბავშვი შიმშილობს ყოველდღე ქვეყანაში, პანდემია და საგიჟეთია, ქუჩაში კიდევ სულ ვიღაცას სცემენ სკამისთვის, ფულისთვის და, რომელიც გინდა, მოერიოს, იმასაც ეგრევე ფეხებზე ეკიდება ქვეყანა, როგორც სხვა დანარჩენებს!

თავს გაუფრთხილდით ყველა, ერთად უნდა გავძლოთ და მოვერიოთ ყველაფერს.

მაია დარსმელიძე გაანაწყენეს



მომღერალი მაია დარსმელიძე, რომელიც ყოველთვის ღიად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, გაანაწყენეს:

– რომელი 7 ნოემბრის ფოტოებს აზიარებთ? რომელიც მაშინ არასწორი იყო და ახლა სწორია? რადგან მაშინ მოხდა, ესე იგი აწი სულ დაუსრულებლად უნდა ხდებოდეს და ამ 13 წლის წინანდელი ფოტოებით უნდა აპრავოთ?! და სულ, დაუსრულებლად უნდა ხდებოდეს?

ანუ ცხადია, რომ ის, რაც 13 წლის წინ მოხდა, სინამდვილეში მართლა კი არ გაცოფებთ! ვერასოდეს დავიჯერებ, რომ თქვენ, საკუთარი ტრ..ის სარფიანად მოკალათების გარდა, რამე ადამიანური გაწუხებთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

10 ნოემბრისათვის



ვერძი – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კურო** – ცვლილებების დრო არ არის. სერიოზული საკითხების მოგვარებას დღეს პლანეტები არ გირჩევენ. **ტყუპები** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს ნუ შემოახვევთ. **კირჩხიბი** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ლომი** – სხვისი პრობლემების გადაწყვეტას ნუ შეეცდებით. თავი შეიკავეთ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან. **ქალწული** – გლობალური გადაწყვეტილებების მისაღებად სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს ეცადეთ, მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდეთ. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ღრანიანქალი** – გამორიცხული არ არის, დაგროვილ საქმეებს თავი შესანიშნავად გაართვათ, თუ, რასაკვირველია, არ იზარმაცებთ. **მშვილდოსანი** – საოჯახო პრობლემების მოგვარების დროა. შეგიძლიათ, საღამოს გაერთოთ და დაისვენოთ. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **მერწყული** – ნებისმიერი პრობლემის მოგვარება ხელგეწიფებათ, ოღონდ ვარსკვლავები გაფრთხილებენ – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **თევზები** – დღევანდელი დღე ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ნუ გადაიღლებით. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ყველა მამაკაცი ნაძირალაა!

– დიახ, ძვირფასო, აბსოლუტურად ყველა.

– შენც?

– მე ყველაზე დიდი ნაძირალა ვარ მსოფლიოში!

– მაშინ, რატომ გამოგყევი ცოლად და რატომ ვცხოვრობ ამდენი წელი შენ გვერდით?

– აი, ახლა გადავედით თემაზე, რომ ყველა ქალი სულელია.

•••

ორი მთვრალი მეგობარი ავტობუსს ელოდება. ავტობუსის გაჩერების შემდეგ ერთ-ერთი მძღოლს ეკითხება:

– ეს ავტობუსი ვაგზლამდე მიმიყვანს?

– არა! – უპასუხა მძღოლმა.

– არც მე? – ეკითხება მეორე.

•••

დიდი ხნის უნახავი თანასოფლელები შეხვდნენ ერთმანეთს. ერთი მეორეს უყვება:

– უკვე მესამედ გავიკეთე კუჭის ოპერაცია. იმდენი ფული დავხარჯე და ძლივს გადავრჩი.

– შე კაი კაცო, მერე, რას ჩააცივდი მაგ კუჭს? გაგეკეთებინა ბრმა ნაწლავის ოპერაცია, უფრო იაფად გამოხვიდოდი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამაკაცმა შეცდომით ფული ნაგავში გადაყარა

კუვეიტის ჯაბრიას რაიონში ეგვიპტელმა ნაგვის კონტეინერში შეცდომით გადააგდო ტომარა, რომელშიც რვა ათასი კუვეიტური დინარი იდო.

მამაკაცმა ბანკიდან მსხვილი თანხა გამოიტანა და ის პოლიეთილენის ტომარაში მოათავსა. მოგვიანებით ის ნაგვის გადასაყრელად გავიდა და შეცდომით თან ის შეკვრაც გაიყოლა, რომელშიც ფული იდო.

სახლში დაბრუნების შემდეგ საკუთარ შეცდომას მიხვდა. ის ნაგვის ბუნკერთან გაიქცა, რათა ფული უკანვე ამოეღო, მაგრამ სანაგვე უკვე დაცარიელებული დახვდა. მამაკაცმა მომხდარის თაობაზე პოლიციას აცნობა და წარუდგინა ქვითრის ასლი, რომელიც ადასტურებდა მის მიერ თანხის ანგარიშიდან მოხსნას. ამ დროისთვის გამომძიებლები ადგენენ, შეესატყვისება თუ არა ეგვიპტელის განცხადება სინამდვილეს.

გვარდიოლა: „ლივერპულთან ფრე სამართლიანი შედეგია“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ ლივერპულთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ფრე სამართლიანი შედეგი იყო, რადგან უპირატესობას არც ერთი გუნდი არ ფლობდა.

გვარდიოლას აზრით, ლივერპული ისევ ძალიან ძლიერია, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ ჰყავს:

– ლივერპულთან თამაში რთულია, რადგან მას არაპროგნოზირებადი შეტევა ჰყავს და არასდროს იცი, ხიფათი საიდან მოვა. დღევანდელი მატჩი თანაბარი გამოდგა, ამიტომ ფრე სამართლიანი შედეგია.

ანსუ ფატი თამაშს 2 თვე ვერ შეძლებს

ბარსელონის ახალგაზრდა ფორვარდი ანსუ ფატი, დიდი ალბათობით, საკმაოდ ხანგრძლივი დროით გამოაკლდება თავის გუნდს, რადგან კუნთის სერიოზული დაზიანება მიიღო და, შესაძლოა, ოპერაციაც დასჭირდეს.

ოპერაციის შემდეგ ფატი მინიმუმ ორი თვე იუქმებს და, შესაძლოა, ცოტა მეტი დროც დასჭირდეს. ფატი ჯერ მხოლოდ 18 წლის არის, თუმცა უკვე ბარსელონის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ითვლება.



სამუელ ეტოო ავარიაში მოყვა

სამუელ ეტოო თავის სამშობლო კამერუნში საკმაოდ სერიოზულ ავარიაში მოყვა, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ავარიის დეტალები უცნობია. ეტოოს ავტომობილი მთლიანად განადგურებულია და, შეიძლება ითქვას, რომ ბარსელონისა და ინტერის ყოფილ ფეხბურთელს გაუმართლა, რომ ცოცხალი გადარჩა.

ეტოომ კარიერა ერთი წლის წინ დაასრულა და ის კამერუნის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება.

დეპაი ბარსელონას იანვარში შეუერთდება

ლიონის ჰოლანდიელი შემტევი მემფის დეპაი, დიდი ალბათობით, ბარსელონას მაინც შეუერთდება და ეს იანვარში მოხდება. დეპაი ბარსელონაში ზაფხულში უნდა გადასულიყო, მაგრამ ტრანსფერი გაურკვეველი მიზეზების გამო ჩაიშალა. დეპაიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ არ არის დარწმუნებული, დარჩება თუ არა ლიონში და ამით დაადასტურა, რომ ბარსელონაში სურს გადასვლა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ყოფილმა „მის სამყარომ“ იახტაზე ფოტოსესია გამართა

ამერიკელმა სუპერმოდელმა, მსახიობმა და ყოფილმა „მის სამყარო-2012-მა“ სილვია კალპომ მექსიკის კურორტ კაბოში დასვენების დროს გადაღებული ეროტიკული შინაარსის ფოტოსურათები ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

28 წლის მანეკენმა ფოტოსესია მდიდრული იახტის გემბანზე ბრენდ Lovewave-ს საცურაო კოსტიუმსა და Revolve-ს მარკის თეთრი ფერის პერანგში გამოწყობილმა მოიწყო.

ის აღბეჭდილია ოკეანისა და კლდეების ფონზე. კალპოს ფოტოზე თმები უკან ცხენის კუდივით აქვს შეკრული. მას ყურებზე პატარა საყურეები ამშვენებს, ხოლო თავზე სახვევი უკეთია.

– ჩემ გარდა ვინმე უსმენს განმეორებით არანა გრანდეს ალბომს? – კითხულობს ფოტოსურათების კომენტარში სუპერმოდელი.

შოტლანდიელებს ბავშვისთვის ხელის შემორტყმა აუკრძალეს

შოტლანდიის მკვიდრთ აღმზრდელობითი მიზნით ბავშვისთვის ხელის შემორტყმა აუკრძალეს.

ახალი კანონი, რომელიც 16 წლამდე ასაკის ბავშვის ფიზიკურ დასჯას კრძალავს, შოტლანდიის პარლამენტმა გასულ წელს მიიღო. აღნიშნული კანონი ძალაში 7 ნოემბერს შევიდა. მანამდე მშობლებსა და მომვლელებს უფლება ჰქონდათ, ბავშვები ამგვარი მეთოდით დაესაჯათ.

აღსანიშნავია, რომ პირველი ქვეყანა, რომელმაც ასეთი კანონი მიიღო, შვედეთი იყო. იქ ასეთი კანონი ჯერ კიდევ 1979 წელს მიიღეს. შოტლანდია კი რიგით 57-ე ქვეყანაა, რომელმაც ასეთი კანონი მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. ქართული ავიაკომპანია; 2. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 3. მთავრობის მეთაური გერმანიაში; 4. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 5. სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 9. მუსიკალური ნაწარმოები; 12. აეროპორტი სანკტ-პეტერბურგში; 14. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 15. მდინარე ჰამბურგში; 17. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში.

თარაზულად: 6. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 7. რაიმეს სახეცვლილება, ნაირსახეობა; 8. ბავშვთა ქალაქი თბილისში; 10. მთავარი მოედანი მილანში; 11. იტალიელი პოლიციელი; 13. მოწინააღმდეგე კამათში; 16. კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 19. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 20. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა